პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი
№ 229 (10005)

კვირა, 26 სექტემბერი, 1954 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერშია:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).

პარტიული ორგანიზაციის მდივნის ანგარიში რაიკომის პაუროზე (მე-2 გვერდი).

გ. ტალახაძე. — ტ. მალცევის მეთოდის შემოქმედებითად გამოყენებისათვის (მე-2 გვერდი).

ე. ფომინიხი. — საბჭოთა კავშირის ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარები (მე-2 გვერდი).

საბჭოთა კავშირ-რუმინეთის კომუნიკე რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის საბჭოთა კავშირ-რუმინეთის შორეულ საზოგადოებებში მონაწილეობის საბჭოთა წილის გადაცემის შესახებ (მე-2 გვერდი).

რა იწვევს ჩამორჩენას? (მე-3 გვერდი).

ო. გიგინეიშვილი. — ქართველი მთამაღლელები ამბირის მწვერვალებზე (მე-3 გვერდი).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. — წიგნი დიდი ჩინეთის შესახებ (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანკისტის დღე

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები დღესასწაულობენ ტანკისტის დღეს.

ამ დღეს ჩვენი ქვეყნის მშრომელები კანონიერი სიამაყის გრძნობით მოიგონებენ ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების შექმნისა და განვითარების მთელ გმირულ ისტორიას.

ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის მძიმე წლებში, როცა სრულიად ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა გმირულად უმკლავდებოდა და ანადგურებდა შინაგან კონტრრევოლუციას და უცხოელ ინტერვენტებს, კომუნისტური პარტია, მისი დიდი ბელადები ლენინი და სტალინი იწყებდნენ წითელი არმიის ჯავშნიანი ნაწილების შექმნას, კონკრეტულ ღონისძიებებს ახორციელებდნენ მათი ტექნიკური აღჭურვილობის უზრუნველსაყოფად. ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების აღჭურვა პირველხარისხოვანი მანქანებითა და იარაღებით მტკიცედ არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გრანდიოზული პროგრამის განხორციელებასთან. ჩვენი ქვეყნის ზრდასა და დაკაჟებასთან ერთად იზრდებოდნენ და ვითარდებოდნენ საბჭოთა შეიარაღებული ძალები, მათი ერთ-ერთი მოწინავე საბრძოლო რაზმი — სატანკო და მექანიზებული ძალები.

ჩვენი ხალხის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განუწყვეტელი მზრუნველობის შედეგად სახელოვანმა საბჭოთა ტანკმშენებლებმა შექმნეს პირველხარისხოვანი მრისხანე საბრძოლო მანქანები. ამ მანქანებმა თავიანთი დიდი უპირატესობანი მოწინააღმდეგის მანქანების წინაშე დაამტკიცეს დიდი სამამულო ომის მძიმე დღეებში. ეს ომი მთელი ჩვენი ხალხის სულიერი და ფიზიკური ძალების, საბჭოთა წყობილების სიმტკიცის მკაცრი გამოცდა იყო.

ხელმძღვანელობდნენ რა პარტიის, დიდი სტალინის მითითებებით, მამაცმა საბჭოთა ტანკისტებმა ღირსეულად შეასრულეს თავიანთი საბრძოლო ამოცანები, დიდი წვლილი შეიტანეს ჰიტლერული სამხედრო მანქანის დამსხვრევის საქმეში და უჭკნობი დიდების შარავანდედით შემოსეს თავიანთი საბრძოლო დროშები. ტანკისტებმა დიდი როლი შეასრულეს ბერლინისათვის ბრძოლებში, რამაც დააგვირგვინა საბჭოთა იარაღის ბრწყინვალე გამარჯვება ჰიტლერელი დამპყრობლების ნაქეტ იარაღზე. ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების რიგებში ყველა საბჭოთა ხალხის შვილებთან ერთად მტრის ურდოების წინააღმდეგ მამაცურად იბრძოდნენ ქართველი ხალხის შვილებიც.

საბჭოთა ტანკისტებმა თავიანთი გმირული მოქმედებით დიდ სამამულო ომში მთელი მოწინავე კაცობრიობის აღფრთოვანება და პატივისცემა დაიმსახურეს. ჩვენმა ხალხმა, პარტიამ, მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს ტანკისტების საბრძოლო გმირობას. ასობით ტანკისტს საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა, ათასობით ტანკისტი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებით.

ჩვენი ხალხის სიყვარულითა და მზრუნველობით გარემოსილი სახელოვანი საბჭოთა ტანკისტები, რომლებიც არასოდეს არ ივიწყებენ კაპიტალისტური გარემოცვის არსებობას, მშვიდობიანი მშენებლობის დღეებშიც განუწყვეტლივ სრულყოფენ თავიანთ მეომრულ ხელოვნებას, განამტკიცებენ სამხედრო დისციპლინას, ეუფლებიან უფრო რთულ ტექნიკას.

საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი, მისი უდიდესი მიღწევები მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში ახალი გმირული საქმეებისათვის რაზმავს და აღაფრთოვანებს საბალხო-დემოკრატიის ქვეყნების, დიდი ჩინეთის მშრომელებს. ისინი, საბჭოთა კავშირის მშრომელთა მაგალითით შთაგონებულნი, წარმატებით აშენებენ ახალ ცხოვრებას.

სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკის ქვეყნების მოწინავე მიღწევები მოსვენებას არ აძლევს, ძილს უფრთხობს იმპერიალიზმის ბანაკს, რომელიც გარდუვალი დალუპვისაგან ხსნას ახალი ომის გაჩაღებაში ეძებს.

მთელი მოწინავე კაცობრიობა, მსოფლიოს მილიონობით უბრალო ადამიანები, მშვიდობის შენარჩუნებისათვის თავიანთი ბრძოლის პირველი დადებითი შედეგებით აღფრთოვანებულნი, თანდათან ამრავლებენ თავიანთ ძალებს, განამტკიცებენ დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკს, და წარმატებით გაგრძობენ ბრძოლას ახალი მსოფლიო ომის გაჩაღებელთა გეგმების ჩასაფუშავად.

დიადი საბჭოთა კავშირის ეკონომიური და სამხედრო ძლიერების შემდგომი განმტკიცება მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების, ახალი დამანგრეველი ომის თავიდან აცილების მტკიცე გარანტიას წარმოადგენს. ამიტომ ჩვენი ქვეყნის მშრომელები თავიანთ ძალებსა და უნარს არ იშურებენ სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების განსამტკიცებლად.

ტანკისტის დღე წელს განსაკუთრებული პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის ვითარებაში აღინიშნება. საბჭოთა ხალხი, მშრომლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სახელმძღვანელო, ისტორიული გადაწყვეტილებით შეიარაღებული, დაუშრეტელი შემოქმედებითი ენერგიით შრომობს კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის განსახორციელებლად. მთელ ჩვენს თვალწინ ქვეყანაში გაჩაღებულია თავდადებული შუამაობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების დადგენილებათა განსახორციელებლად, სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი განვითარებისათვის. უკვე იგრძნობა ამ შრომის სასახარულო შედეგები.

ზეიმობენ რა ტანკისტის დღეს, საბჭოთა საქართველოს მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მტკიცედ დარაზმული, კიდევ უფრო ამრავლებენ თავიანთ შემოქმედებითს ძალებს კომუნიზმის მშენებლობის საქმეში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ინგლისელი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე პროფესორი ჯონ ბერნალი

25 სექტემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო მოსკოვში მყოფი ინგლისელი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატი, პროფესორი ჯონ ბერნალი და ჰქონდა მასთან ხანგრძლივი საუბარი. (საკდესი).

ინდოეთის კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა დელეგაცია თბილისში

მესამე დღეა თბილისში სტუმრად არის ინდოეთის კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ქ-ნი მ. ჩანდრასეკხარი.

მრავალმილიონიანი ინდოელი ხალხის წარმომადგენლებს გულითად შეხვედრას უწყობენ. დელეგაციის წევრები შ. რუსთაველის სახელობის კინოთეატრში დაესწრნენ ინდური ფილმების ფესტივალის საზეიმო გახსნას. მჭუხარე ტაშით შეხვდნენ მაყურებლები ძვირფას სტუმრებს. ფესტივალი გახსნა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კინემატოგრაფიის მთავარი სამმართველოს უფროსმა ლ. დ. ესაკიამ. ის გულთბილად მიესალმა დელეგაციას.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა დელეგაციის მეთაურმა ქ-მა მ. ჩანდრასეკხარმა. მან აღნიშნა, რომ დელეგაციის წევრები სსრ კავშირში ყველგან ხედავენ საბჭოთა ადამიანების დიდ ინტერესს ინდოეთის ხელოვნებისადმი. მან აღნიშნა, რომ ფართოვდება კულტურული ურთიერთობა ინდოეთის ხალხსა და საბჭოთა კავშირის ხალხს შორის.

სტუმრები შ. რუსთაველის სახელობის დრამატულ თეატრში დაესწრნენ ქართული ხელოვნების ოსტატთა კონცერტს. დარბაზში შემოსულ დელეგაციის წევრებს დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

ინდოეთის კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები დიდი ინტერესით ეცნობიან თბილისისა და მისი მიდამოების ღირსშესანიშნაობებს. რამდენიმე საათი დაჰყვეს მათ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში. ინდოელი ხალხის წარმოგზავნილები გაეცნენ ბავშვთა მხატვრულ თვითმოქმედებას, კაბინეტების, ლაბორატორიების, სახელოსნოების მუშაობას. ბავშვებმა სტუმრებს საჩუქრები მიართვეს.

დელეგაციის წევრებმა ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში დათვალიერეს საბავშვო რკინიგზა, იყვნენ დიღმის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში.

ინდოეთის კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა დელეგაციის მეთაურმა, ინდოეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ ქ-ნმა მ. ჩანდრასეკხარმა ინახულა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი და ესაუბრა მას.

უდიდესი ინტერესი გამოიწვია ინდოეთის ხელოვნების ოსტატთა გამოსვლებმა. კონცერტებმა დიდი წარმატებით ჩაიარა.

ინდოეთის მსახიობთა პირველ კონცერტს, რომელიც შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა 24 სექტემბერს, დაესწრნენ ამხანაგები ვ. პ. მეჟანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, ო. დ. გოცირიძე, მ. ი. კუჭავა, ა. ლ. გუნია, მ. მ. ლელაშვილი.

25 სექტემბერს შ. რუსთაველის სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართა ინდოელ მსახიობთა მეორე კონცერტი. მსახიობებმა მაყურებლებს უჩვენეს დიდი ინდოელი ხალხის თავისთავადი, უაღრესად ეროვნული ხელოვნება.

ინდოეთის კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა დელეგაცია კვლავ ეცნობა საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებსა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. (საქდესი).

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★ ★

ტანკისტის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა თბილისში

25 სექტემბერს საღამოს საბჭოთა არმიის ოფიცერთა თბილისის საოლქო სახლის პარკში გაიმართა მშრომელთა საერთო საქალაქო კრება თბილისის გარნიზონის ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი ტანკისტის დღისადმი.

სხდომა გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. მ. მაღრაძემ.

მოხსენება ტანკისტის დღის შესახებ გააკეთა ამხ. გ. კუდრიავცევმა. მან აღნიშნა საბჭოთა ტანკისტებისა და ტანკმშენებლების სასახელო დამსახურება სამშობლოსა და ხალხის წინაშე.

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი. (საქდესი).

წველადობის წლიური გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს

საჩხერე. (საკ. კორ.). კოლმეურნეობებში წლობით არ სრულდება მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმა. რაიონში არ იყო ისეთი კოლმეურნეობა, რომელსაც წველადობის დავალება შეესრულებინოს. წელს შედარებით უკეთ იმუშავეს სოფელ სავანის სტალინის სახელობისა და სოფელ სხვიტორის ა. წერეთლის სახელობის კოლმეურნეობების მეძროხეობის ფერმებმა. აქ 15 სექტემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს წველადობის წლიური გეგმები და მთლიანად შეინარჩუნეს ნამატი. სავანისა და სხვიტორის კოლმეურნეობები პირველები და ორად-ორია, საჩხერის რაიონში წველადობის წლიური გეგმა რომ შეასრულეს.

სოფელ სავანის კოლმეურნეობაში მეძროხეობის ფერმას ზ. კურტანიძე განაგებს. აქ ძროხების საუკეთესო მომვლელებად და მწველავებად ითვლებიან დონიკა ლაბუჩიძე და გუგული აბრამიშვილი. წელს აქ 70 ძროხისათვის აიგო მექანიზებული სადგომი, რომელიც ახლო ხანში გადაეცემა საექსპლოატაციოდ. საგულისხმოა, რომ ეს პირველი მექანიზირებული ბოსელი იქნება რაიონში.

ყოველ საფურაქე ძროხაზე კიდევ უფრო მეტი რძე მიიღო სოფელ სხვიტორის ა. წერეთლის სახელობის კოლმეურნეობამ. ამ საქმეში ენერგიული შრომით თავი გამოიჩინეს ფერმის გამგემ გ. ბერდელიძემ, მომვლელებმა შ. ზაბახიძემ, ს. პეტრიაშვილმა.

ცუდი არ იქნება, თუ სავანელ და სხვიტორელ მეცხოველეთა გამოცდილებას გადაიტანენ სხვა კოლმეურნეობებში და მიაღწევენ წველადობის გეგმის უეჭველ შესრულებას, ნამატის მთლიანად შენარჩუნებას.

ახალი ბინები პირუტყვისათვის

ასპინძის რაიონში სერიოზული ყურადღება ექცევა პირუტყვის სადგომების მშენებლობას. წელს შენდება 1.200 სულის ტევადობის სადგომები. აქედან მარტო სოფლების ნაქალაქევისა და ძველის კოლმეურნეობებში აშენდა 220 სულის ტევადობის ბინები.

პირუტყვისთვის ბინების მშენებლობა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს.

ცხრა თვის გეგმა 25 სექტემბრისათვის

ჭიათურა. (საკ. კორ.). საუკეთესოდ მუშაობს წელს ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კოლექტივი. 17 სექტემბერს მარგანეცის ამოღების 9 თვის გეგმა შეასრულა ლენინის სახელობის მაღარომ. გავიდა რამდენიმე დღე და ჭიათურელმა მაღაროელებმა ახალი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს. 25 სექტემბერს მარგანეცის ტრესტმა წარმატებით გაანაღდა მადნის ამოღების ცხრა თვის დავალება. ახლა მაღაროელები ოქტომბრის ანგარიშში იძლევიან ჰაღალხარისხოვან მარგანეცს. მათი გადაწყვეტილებაა ახალი მიღწევებით შეხვდნენ ოქტომბრის დიად დღესასწაულს.

მეტი მარგანეცისათვის ბრძოლაში კვლავ წინ მიდის ლენინის სახელობის მაღაროო. საუკეთესო საწარმოო შაჰვენებლები აქვთ აგრეთვე ორჯონიკიძის, კაგანოვიჩისა და დიმიტროვის სახელობის მაღაროთა კოლექტივებს.

5 მილიონი მანეთის ზეგეგმითი დაგროვებისათვის

მახარაძე, 23 სექტემბერი. (საქდესი). მახარაძის აბრეშუმის ძაფსაღებსაგრეხი ფაბრიკის მუშაკთა კოლექტივმა ვადაზე ათი დღით ადრე გადაჭარბებით შეასრულა ცხრა თვის საწარმოო დავალება. პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად მან სახელმწიფოს მისცა ორ მილიონ მანეთამდე ზეგეგმითი დაგროვება.

მახარაძელი მეაბრეშუმეები საოქტომბრო შეჯიბრებაში ჩაებნენ, ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმა შეასრულონ 15 დეკემბრისათვის და სახელმწიფოს მისცენ ხუთი მილიონი მანეთის ზეგეგმითი დაგროვება.

პირველ ადგილზე საბჭოთა კავშირი

მცხეთა, 23 სექტემბერი. (საქდესი). გასულ წელს და მიმდინარე წლის პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით მცხეთის წყალთა მეურნეობის სამმართველოს კოლექტივმა პირველი ადგილი დაიკავა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ახლა მიღებულია ცნობა, რომ მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით მას კვლავ მიენიჭა პირველი ადგილი, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი ჯილდო.

დიადი ქვეყნის უძველესი ხელოვნება

სულ უფრო მტკიცე და მრავალმხრივი ხდება ინდოეთის ხალხისა და საბჭოთა კავშირის ხალხების მეგობრობა და ურთიერთობა. ამის მკაფიო დადასტურებაა ინდოეთის გამოჩენილ მსახიობთა ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში.

საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა კულტურულ ცხოვრებაში დიდად სასიხარულო მოვლენა იყო ინდოეთის ხელოვნების ოსტატთა კონცერტები. ქართველი მშრომელები გულმხურვალედ მიეგებნენ ინდოელ მეგობრებს, აღტაცებით შეხვდნენ მათს ეროვნულ ხელოვნებას.

მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს დიდი ინდოელი ხალხის კულტურას. საუკუნეთა მანძილზე იხვეწებოდა მდიდარი, მკაფიო და ფერადოვანი ინდური ხელოვნება. ეს განუმეორებელი ხელოვნება გვაოცებს თავისი მრავალფეროვნებით, ფორმებისა და ჟანრების დახვეწილობითა და თავისებურებით, ღრმა ემოციურობით, მხატვრული სახეების კოლორიტულობითა და შთამბეჭდავი სიძლიერით.

ლირიკული, ნაზი, ამავე დროს ფარული მგზნებარებითა და ტემპერამენტით აღსავსე ინდური მუსიკა, მშვენიერი ინდური ცეკვები, რომლებიც გამოირჩევიან უმდიდრესი პლასტიკით, უაღრესად მეტყველი მიმიკით, ქორეოგრაფიული ვირტუოზულობით მნახველებზე დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენენ.

ინდოელ ხალხს მხურვალედ უყვარს მშობლიური ქვეყანა, მას უძღვნა თავისი მშვენიერი პატრიოტული სიმღერები.

კონცერტი, რომელიც გაიმართა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში 24 სექტემბერს, გაიხსნა ინდოეთის გამოჩენილი პოეტის იკბალის პოემის — „ჩვენი ინდოეთი სჯობია ყველას“ შესრულებით. არტისტებმა დიდი აღფრთოვანებით იმღერეს ეს საინტერესო, რთული და თავისებური ნაწარმოები, რომელშიც ნათქვამია, თუ რა მშვენიერია სამშობლო და რა აუცილებელია ეროვნული ერთიანობა მისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ქართველი მაყურებელი აღაფრთოვანა შესანიშნავი ინდოელი მოცეკვავის ტარა ჩოუდრის შთაგონებულმა ხელოვნებამ. ღრმა შინაგანი გრძნობით გამთბარი მისი ცეკვა პოეტური და გრაციოზულია. სულგანაბულნი ადევნებდნენ თვალყურს ტარა ჩოუდრის ყოველ მიმოხვრას, მისი საოცრად მეტყველი ხელების თვითეულ დახვეწილ ჟესტს, რაც მუდამ ღრმად გამართლებული და შინაარსიანია.

სამასი წელია ინდოელ მოცეკვავეთა დინასტია, რომლის წარმომადგენელია ცნობილი ინდოელი არტისტი გოპინატხი, თაობიდან თაობაში გადასცემს და ავითარებს უძველესი კლასიკური სტილის „კატაკხალის“ ტრადიციებს. „კატაკხალი“ ინდური საცეკვაო წარმოდგენის ერთ-ერთი სახეობაა. მასში სინთეზურად არის შერწყმული ხელოვნების მრავალი სახეობის მეტყველი საშუალებანი: მუსიკა, ცეკვა, პოეზია, ფერწერა, დრამა. ჟესტისა და მიმიკის ენა „კატაკხალში“ სრულყოფილად არის დამუშავებული.

გოპინატხმა გაგვაოცა მიმიკური გამომსახველობის საოცარი ოსტატობით. მან ბრწყინვალედ შეასრულა პანტომიმური ცეკვები: „წყალი“, „თევზი“, „ლოტოსი“, „ნიანგი“, „ირემი“, „სპილო“ და სხვ. მაღალი ოსტატობით განირჩეოდა აგრეთვე მის მიერ შესრულებული „კატაკხალის“ სტილის სიუჟეტური ცეკვა „მახაბალი“.

მსმენელებზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინეს ინდოელმა მომღერლებმა მირა ჩატერჯიმ, სურინდერ კაურმა, ხალხურმა მომღერალმა ახა სინგჰ მასტანმა, ეროვნულ საკრავთა დაკვრის ვირტუოზმა ოსტატებმა — კიშემ მახარაჯმა (ტაბლა), შაკურ ხანმა (სარანგი) და სხვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ინდოეთის გამოჩენილი მუსიკოსის, სრულიად ინდოეთის რადიოს სოლისტის რავი შანკარის გამოსვლა. იგი არა მარტო ბრწყინვალე შემსრულებელია სხვადასხვა მუსიკალურ საკრავზე, არამედ მთელი რიგი მუსიკალური ნაწარმოების ავტორიც არის. შთაგონებულად, დიდი მგზნებარებით შეასრულა მან კლასიკური სტილით დაწერილი თავისი ნაწარმოები ხალხურ სიმღერებიან საკრავ სიტარზე.

ქართველი მაყურებლები გულთბილად ხვდებოდნენ ქართველ ოსტატებს, რომელნიც ინდოელ ხალხისადმი მხურვალე სიყვარულისა და პატივისცემის წრფელ გრძნობებს.

ინდოეთის ხელოვნების ოსტატთა კონცერტები ჩვენს ქვეყანაში მშვიდობიან ხალხთა მეგობრობის ჭეშმარიტ დღესასწაულად იქცა.

თამბაქოს მოსავლის აღება

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარაში გაცხოველებით მიმდინარეობს თამბაქოს მოსავლის აღება. წელს უხვი მოსავალი მოიყვანეს ბათუმის რაიონის მაღალმთიანმა კოლმეურნეობებმა. ისინი უდანაკარგოდ და შემჭიდროებულ ვადებში იღებენ თამბაქოს მოსავალს.

თამბაქოს მოსავლის აღებაში განსაკუთრებით დაწინაურდა აჭარისწყლის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც გეგმის გადამეტებით შეტანა და ანემსა 30 ათასი ზონარ-მეტრი თამბაქოს ფოთოლი, სოფელ ჟრნათის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობამ კი — 52 ათას ხუთასი ზონარ-მეტრი.

რაიონში წარმატებით მიმდინარეობს თამბაქოს ნედლეულის დამზადება. თამბაქოს ნედლეულის ჩაბარების წლიური დავალება შესრულებულია 44,5 პროცენტით, აქედან აჭარისწყლის კოლმეურნეობაში — 63,6, ხოლო ჟრნათის კოლმეურნეობაში — 50 პროცენტით. ამ კოლმეურნეობის იმ ბრიგადას, რომელსაც რ. ცინცაძე ხელმძღვანელობს, წლიური გეგმის გადამეტებით უკვე მოკრეფილი აქვს 280 კილოგრამი ხარისხოვანი თამბაქო.

იზრდება შემოსავალი

ცხაკაია. (საკ. კორ.). თეკლათის კანგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში წელს ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების უხვი მოსავალი მოიყვანეს. თუ შარშან ფულადი შემოსავალი 8.190 მანეთი იყო, წელს ამ დარგიდან შემოსავალმა ჯერჯერობით 29 ათას მანეთს გადააჭარბა. მარტო ნესვით მიღებულია 15.700 მანეთი.

ბოსტნეულ-ბაღჩეულის უხვი მოსავალი მოიყვანეს აგრეთვე ძველი სენაკის სტალინის სახელობის და ახალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებმა.

ხახვის კარგი მოსავალი

ზნაური. (საკ. კორ.). ძვილეთის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ფ. ქოქოლაძემ, მ. გოგიშვილმა და მ. ბეკოლაძემ კოლმეურნეობაში სახელი გაითქვეს, როგორც ხახვის უხვი მოსავლის ოსტატებმა. გამოცდილ კოლმეურნეებს წელს ხახვი 0,3 ჰექტარზე ეთესათ. ნათესი დროულად მორწყეს და გამარგლეს. ამის გამო ნაკვეთზე 45 ცენტნერი მოიყვანეს, რაც ჰექტარზე გადაყვანით 140 ცენტნერს შეადგენს, გეგმა კი 75 ცენტნერს ითვალისწინებს. ხახვის ზოგიერთი ბოლქვი 300-400 გრამს იწონის.

ჰექტარზე 80 ცენტნერი სიმინდი

ახმეტა. (საკ. კორ.). კოლმეურნეობებში მასობრივად გაჩაღდა სიმინდის მოსავლის აღება. ზემო ალვნის მაღლენკოვის სახელობის კოლმეურნეობამ სიმინდის მოსავალი 30 ჰექტარზე აიღო. იმ ნაკვეთებიდან, სადაც სიმინდი დათესილი იყო კვადრატულ-ბუდობრივად, მწკრივად ნათესთან შედარებით 20-25 ცენტნერით მეტ მოსავალს იღებენ. რ. თილიძის და მ. შაურიძის ბრიგადებმა საშუალოდ ჰექტარზე 80 ცენტნერი სიმინდი მიიღეს, გეგმა 26 ცენტნერს ითვალისწინებს.



ინდოეთის რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში. სურათებზე: მსახიობი გოპინატხი ასრულებს ცეკვა — პანტომიმას — „მორცხვობა“; ინდოელი მსახიობები ასრულებენ პოემას „ჩვენი ინდოეთი ყველას სჯობია“; მოცეკვავე ტარა ჩოუდრი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

პარტიული ორგანიზაციის მდივნის ანგარიში რაიკომის ბიუროზე

საქართველოს კომპარტიის თიანეთის რაიკომის ბიურომ განიხილა სოფელ თოლენჯის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის ა. ბაიაშვილის ანგარიში.

გამოირკვა, რომ პირველადი ორგანიზაციის მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებანია. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა პარტიულ კრებებზე მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებას. უკანასკნელი 5 თვის განმავლობაში მხოლოდ ერთი დადგენილების შესრულების მიმდინარეობა იქნა შემოწმებული. ყველა კომუნისტს როდი აქვს მიცემული პარტიული დავალება. იშვიათად ეწყობა ლექციები, მოხსენებები და საუბრები, სუსტად მუშაობენ აგიტატორები. მოუგვარებელია პარტიული მეურნეობა.

კოლმეურნეობაში არ სრულდება მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმები, შრომადღის ღირებულება ძალიან დაბალია. ჩამორჩება შრომის ორგანიზაცია და შრომის დისციპლინა. კომკავშირელები მ. დობაძეშვილი, გ. გაბიტაშვილი, ს. ბუჯიაშვილი და ა. ზარიძე თავს არიდებენ საკოლმეურნეო შრომაში მონაწილეობას. კოლმეურნეობაში არა ჩანს კომკავშირელთა ავანგარდული როლი.

რაიკომის ბიურომ სოფელ თოლენჯის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გასაუმჯობესებლად მიიღო სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი.

დ. ბადურაშვილი,
რაიონული გაზეთის „ახალი თიანეთის“ რედაქციის მდივანი.

ძირეული პრესის მუშაკთა რაიონული თათბირები

პარტიის სამტრედიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ და რაიონული გაზეთის „წინსვლის“ რედაქციამ მოაწყეს კედლის გაზეთების რედაქტორთა რაიონული თათბირი. თათბირზე წაკითხულ იქნა მოხსენება თემაზე: „პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში ძირეული პრესის ამოცანები“.

მუშაობის თავიანთი გამოცდილების შესახებ თათბირის მონაწილეებს მოუთხრეს მტს-ის კედლის გაზეთის რედაქტორმა ო. ნაფეტვარიძემ, სოფელ ზაშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კედლის გაზეთის რედაქტორმა ს. კაშმაძემ და სხვებმა.

თათბირის დარბაზში მოწყობილი იყო კედლის გაზეთების გამოფენა. ჟიურის გადაწყვეტილებით ნაყოფიერი მუშაობისათვის პირველი ადგილი მიეკუთვნა მტს-ის კედლის გაზეთს „სოფლის მექანიზაციისათვის“.

ტ. მალცევის მეთოდის შემოქმედებითად გამოყენებისათვის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის და ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების ისტორიული გადაწყვეტილებებით დასახული ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის და მათ შორის სოფლის მეურნეობის შემდგომი განუხრელი განვითარების გრანდიოზული გეგმა. ამ გეგმის განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს ნედლეულზე მრეწველობისა და სურსათ-სანოვაგეზე მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილება სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის განსახორციელებლად ეყრდნობა ერთი მხრივ სათესი ფართობის გადიდებას (უმირი და ნასვენი მიწების ათვისება), ხოლო მეორე მხრივ მოსავლიანობის პროგრესიულ ზრდას ნიადაგის ეფექტიანი ნაყოფიერების სისტემატური ამაღლების საშუალებით.

ნიადაგის ნაყოფიერების გადიდება, საკვებ ნივთიერებებსა და ჰაერზე კულტურულ მცენარეთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება მთელი რიგი აგროტექნიკური ხერხების გამოყენების საშუალებით ხორციელდება.

ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კოლმეურნე მეცნიერის ტ. მალცევის მიერ შემუშავებული ახალი სისტემა ნიადაგის დამუშავებისა.

ნიადაგის ნაყოფიერების გადიდება საბჭოთა კავშირში ნათესბალახიანი მიწათმოქმედების საშუალებით ხორციელდებოდა. ამ სისტემის მიხედვით ნაყოფიერების აღდგენა — ნიადაგის სტრუქტურის შექმნა-გაუმჯობესება, წყლის და ჰაერის რეჟიმის მოწესრიგება და სხვ. ხორციელდება მხოლოდ მრავალწლიანი მარცვლოვანი და პარკოსანი ნარევი ბალახების თესვით. ეფექტიანი ნაყოფიერების ამაღლების პროცესში აქ კულტურული მცენარეები და ერთწლიანი ბალახების ნამთები არავითარ მონაწილეობას არ იღებენ. იმის გამო, რომ მრავალწლიანი ბალახების თესვა ერთსა და იმავე მინდორზე პერიოდული ხასიათს ატარებს (ყოველი 8 წლის შემდეგ), ამ წესით ნაყოფიერების აღდგენასაც პერიოდული ხასიათი აქვს.

ტ. მალცევის მიერ შემუშავებული წესი ნიადაგის ნაყოფიერების სისტემატურ ამაღლებას იწვევს. ამ წესით ნაყოფიერების ამაღლება დამოკიდებულია არა მხოლოდ ნათეს მრავალწლიან ბალახებზე და მათ ნარჩენ ორგანულ ნამთებზე, არამედ ერთწლიანი ბალახებისა და კულტურულ მცენარეთა ორგანულ ნამთებზეც.

ნიადაგის დამუშავების ამ ახალი სისტემის მიხედვით ნაყოფიერების გაუმჯობესება განპირობებულია ორგანული ნამთების დაშლის (ბიოქიმიური) პროცესის ხასიათით.

ტ. მალცევის წესით ნიადაგის დამუშავება, ნიადაგში მოქცეული როგორც კულტურული მცენარის, ისე მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების ნამთების ნიადაგის სტრუქტურის, საკვებ ნივთიერებათა ფიზიკური და ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გაუმჯობესების მიმართულებით წარმართავს. ნიადაგის სტრუქტურის გაუმჯობესება ხორციელდება მცენარული ნამთების აერობული და ანაერობული დაშლის პროცესების შეთანაწყობით — ნიადაგის ზედა 6-8 სანტიმეტრი სიღრმის ფენაში ორგანული ნამთების აერობულ, ხოლო მის ქვემოთ მოქცეული ნამთების ძირითადად ანაერობულ პირობებში დაშლით.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად ნიადაგის დამუშავების ეს ახალი წესი ოთხმინდვროვანი თესლბრუნვის პირობებში (სადაც ერთი მინდორი უკავიათ ერთწლიან ბალახებს — პარკოსნებს, რომლებიც აზოტით ამდიდრებს ნიადაგს) ითვალისწინებს 4 წელიწადში ერთხელ უფრთო გუთნით ნიადაგის ღრმად 40-60 სანტიმეტრით გაფხვიერებას, ზელტის გადმოუბრუნებლად. დანარჩენ დროს კი აოშვის (6-8 სანტიმეტრზე) წარმოებს. ნიადაგის ღრმად გაფხვიერება და დროული აოშვა სარეველებისაგან ათავისუფლებს მინდორს და ხელს უწყობს ტენის და საკვებ ნივთიერებათა დიდი რაოდენობით დაგროვებას ნიადაგში. საოში ფენის ქვემოთ მოქცეული ორგანული ნამთების ანაერობული დაშლა კი სტრუქტურის წარმოქმნას იწვევს. ყოველივე ამის შედეგად მნიშვნელოვნად უმჯობესდება კულტურული მცენარის ზრდა-განვითარების პირობები და დიდდება მოსავლიანობა.

ყოველწლიური ხვნის პირობებში, ნიადაგის სტრუქტურის მექანიკური დარღვევის გარდა, ადგილი აქვს კულტურული მცენარეებისა და ერთწლიანი ბალახების ნამთების აერობულ პირობებში დაშლას, რის გამო ასეთი ბიოქიმიური პროცესის შედეგად ორგანული მწყობავი ნივთიერება არ წარმოიქმნება და სტრუქტურის გაუმჯობესება არ ხდება.

ნიადაგის დამუშავების მალცევის სისტემამ კი ფართო გამოხმაურება ჰპოვა სოფლის მეურნეობის მუშაკთა შორის ჩვენი ქვეყნის მრავალ კუთხეში. მთელმა რიგმა რაიონებმა გადაწყვიტეს ნიადაგის დამუშავება მალცევის წესით.

ეს წესი შემუშავებულია დასავლეთ ციმბირის (კურგანის ოლქი, შადრინსკის სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგური) გამოტუტული და ზიკობიანი შავმიწა ნიადაგების პირობებში, სადაც სავეგეტაციო პერიოდი დიდი არ არის (+5°-ზე მეტ ტემპერატურიან დღეთა რაოდენობა წელიწადში 150-160-ს არ აღემატება). ამის გამო იქ მოსავლის აღების შემდეგ შემოდგომის ნალექიანი პერიოდის პირობებში, საოში ფენის ქვემოთ მოქცეული მცენარეული ნამთები ანაერობულად იშლება და ჰუმუსის სპეციფიკური მჟავას (ულმინის) საშუალებით ისეთი სტრუქტურა წარმოიქმნება, რაც ნიადაგის საწარმოო თვისებებს აუმჯობესებს.

საქართველოს პირობებში ნიადაგის დამუშავების ამ ახალი წესის შემოღება უნდა შეეფარდოს ნიადაგისა და ჰავის ადგილობრივ პირობებს. დამუშავების ასეთი წესით აერობული და ანაერობული ბიოქიმიური პროცესების სასურველ შეთანაწყობას ადგილი ექნება შედარებით ხანმოკლე სავეგეტაციო პერიოდის სარტყელში — შთიან ზონაში — სამხრეთ საქართველოში (ახალქალაქის, ბოგდანოვკის, წალკის რაიონები), სამხრეთ ოსეთში (მთიანი ნაწილი) და სხვ.

ბარის პირობებში, სადაც სავეგეტაციო პერიოდი მეტად ხანგრძლივია და ორგანულ ნივთიერებათა დაშლა ინტენსიურ აერობულ ხასიათს ატარებს, ნიადაგის დამუშავების მალცევის წესის პირდაპირ გადმოტანამ არა გვგონია დამაკმაყოფილებელი შედეგი გამოიღოს. ამ ამოცანის გადაწყვეტა აქ შეიძლება სანაწვერალო კულტურების თესვის წარმოებით. სანაწვერალო კულტურა იმის გამო, რომ მინდორს მხოლოდ მთელ რიგ შემთხვევებში გვიან შემოდგომით გაათავისუფლებს, ამით დაიცავს იმ ძირითადი კულტურის ორგანულ ნარჩენებს მძაფრი აერობული დაშლისაგან და გარდა ამისა თვითონაც გაამდიდრებს ნიადაგს ნამთებით, რომლებიც შემოდგომისა და გაზაფხულის ტენჭარბ პერიოდში ანაერობულად დაიშლება და სტრუქტურის გაუმჯობესებას გამოიწვევს.

აღნიშნულთან ერთად სარწყავ პირობებში ყურადღება უნდა მიექცეს სარწყავი წყლის დიდ სიმღვრივეს, რომელიც ნიადაგის გაფხვიერებულ ფენას მალე ამოავსებს ლექით. ამიტომ ცხადია, 4-5 წელიწადში ერთხელ ღრმა გაფხვიერება, ჩვენი აზრით, აქ არ უნდა იყოს საკმარისი. ეს და მრავალი აქტუალური სხვა საკითხი მიწათმოქმედებას, როგორც მეცნიერებას, ისე დღეს პრაქტიკას ახალი ამოცანების წინაშე აყენებს. ამ საკითხების დროულ გადაწყვეტაზე დიდად არის დამოკიდებული ნიადაგის ეფექტიანი ნაყოფიერების ამაღლება და სოციალისტური მინდვრების მოსავლიანობის მნიშვნელოვნად გადიდება.

დოცენტი ბ. ტალახაძე.

პროგრესული წესით

ბორი. (საკ. კორ.). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შემდეგ სერიოზული ყურადღება მიექცა სოფელ შავშვეთის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში მებოსტნეობის განვითარებას.

წინათ ეს დარგი ჩამორჩენილი იყო. ახლა კოლმეურნეობას მშვენიერი ბოსტანი აქვს. 20 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 200 ცენტნერზე მეტ პამიდორს იღებენ. განსაკუთრებით უხვია მოსავალი იმ ფართობში, სადაც პამიდორი კვადრატულ-ბუდობრივად არის დარგული. ამ წესით დარგული პამიდორი ჰექტარზე 50 ცენტნერით მეტ მოსავალს იძლევა ჩვეულებრივთან შედარებით.

კარგი პირი უჩანს კომბოსტოს მოსავალსაც. აქაური მებოსტნე კოლმეურნეები წელს გეგმით გათვალისწინებული 180 ცენტნერის ნაცვლად 300 ცენტნერი კომბოსტოს მბღებას ვარაუდობენ.

საბჭოთა კავშირ-რუმინეთის კომუნიკე

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის საბჭოთა კავშირ-რუმინეთის შორეულ საზოგადოებებში მონაწილეობის საბჭოთა წილის გადაცემის შესახებ

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ სსრ კავშირისა და რუმინეთის მთავრობებს შორის შეთანხმებით რუმინეთის სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში პარიტეტულ საწყისებზე შეიქმნა საბჭოთა კავშირ-რუმინეთის შერეული საზოგადოებანი. ამ საზოგადოებათა შექმნის მიზანი იყო ხელის შეწყობა რუმინეთის ეკონომიკის აღდგენისა და განვითარებისათვის, რომელმაც დიდი ზარალი განიცადა რუმინეთის გერმანულ - ფაშისტური ოკუპაციის შედეგად.

საზოგადოებათა მოღვაწეობის პერიოდში ორივე მხარემ დიდი კაპიტალდაბანდება განახორციელა საზოგადოებათა საწარმოებში. საბჭოთა კავშირი თავის შენატანს საზოგადოებებში ახორციელებდა, უმთავრესად, თანამედროვე მოწყობილობისა და მასალების მიწოდებით, რომლებიც საჭირო იყო საზოგადოებათა საწარმოების მუშაობისათვის. საბჭოთა მხარე საზოგადოებებს უწევდა აგრეთვე ტექნიკურ დახმარებას ტექნიკური დოკუმენტაციის გადაცემის, სპეციალისტთა მივლინების, საწარმოთა მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროექტების შედგენისა და რუმინელ მოქალაქეთაგან კვალიფიციური კადრების მომზადებაში მონაწილეობის გზით. გაწეული კაპიტალდაბანდებისა და მხარეებს შორის შეთანხმებულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გადიდდა საზოგადოებათა საწარმოების სიმძლავრე და ტექნიკური დონე, რამაც საშუალება მისცა მათ შესაბამისად გაედიდებინათ პროდუქციის გამოშვება, აგრეთვე აეთვისებინათ ახალ სახეობათა პროდუქციის წარმოება, რომლებიც წინათ რუმინეთში არ მზადდებოდა. ამასთან ერთად დიდი ყურადღება ექცეოდა საზოგადოებათა მუშებისა და მოსამსახურეების საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

ხსენებული საზოგადოებათა წარმატებით მოღვაწეობამ დადებითი როლი შეასრულა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების საქმეში და მომავლისა — ამ საქმეში ეკონომიკურად საზოგადოებათა საწარმოების ხელმძღვანელობა გადავიდეს რუმინეთის სახელმწიფო ორგანიზაციების ხელში.

ამრიგად, საბჭოთა კავშირ-რუმინეთის შერეულმა საზოგადოებებმა შეასრულეს მათ წინაშე დასახული ამოცანები, რის გამო სსრ კავშირის მთავრობამ და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ განიხილეს ამ საზოგადოებათა საკითხი და შეთანხმდნენ გადაეცეს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას თორმეტ საზოგადოებაში მონაწილეობის საბჭოთა წილი.

ამის შესაბამისად 1954 წლის 31 მარტსა და 18 სექტემბერს მოსკოვში ხელი მოაწერეს შეთანხმებებს იმის შესახებ, რომ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას მიეყიდოს და გადაეცეს საბჭოთა კავშირ-რუმინეთის შერეულ საზოგადოებებში: „სოვრომმეტალში“, „სოვრომუგოლში“, „სოვრომტრანსპორტში“, „სოვრომნეფტემაშში“. „სოვრომსუდოსტროიში“, „სოვრომტრაქტორში“, „სოვრომხიმში“, „სოვრომგაზში“, „სოვრომლესში“, „სოვრომსტროიში“, „სოვრომმანკში“, „ტარსში“ (სამოქალაქო ავიაციის საზოგადოება) მონაწილეობის საბჭოთა წილი.

შეთანხმებებით გათვალისწინებულია, რომ ღირებულება ხსენებულ საზოგადოებებში მონაწილეობის საბჭოთა წილისა, რომელიც რუმინეთს უნდა გადაეცეს, რუმინეთის მხარემ უნდა აანაზღაუროს შეღავათიან პირობებში, გადასახდელთა მთელ რიგ წლებზე განვადებით.

ეს შეთანხმებანი, რომლებიც წარმოადგენენ სსრ კავშირისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობის შედეგს; ხელს უწყობენ ორივე ქვეყანას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას.

ამა წლის 18 სექტემბრის შეთანხმებას ხელი მოაწერეს: საბჭოთა კავშირის მხრივ — საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ი. გ. კობანოვმა, რუმინეთის მხრივ — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მ. კონსტანტინესკუმ.

გაიხსნა ინდური ფილმების ფესტივალი

ჩვენს ქვეყანაში 23 სექტემბრიდან 29 სექტემბრამდე ეწყობა ინდური ფილმების ფესტივალი. საბჭოთა ადამიანები ნახავენ კინოსურათებს „ორი გოჯი მიწა“, „მაწანწალა“, „ქარიშხალი“, რომლებიც შექმნეს ინდოეთის რესპუბლიკის კინოს ნიჭიერმა ოსტატებმა. 23 სექტემბერს მოსკოვის კინოსახლეში გაიმართა ფესტივალის გახსნისადმი მიძღვნილი საღამო. საღამოზე შეიკრიბნენ საბჭოთა კინოხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები. საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, დედაქალაქის საწარმოთა და დაწესებულებათა მუშები და მოსამსახურეები. საღამოს დაესწრნენ აგრეთვე ინდოეთის კინემატოგრაფიის მოღვაწეთა დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა, და ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონი.

საღამო გახსნა სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა გ. თ. ალექსანდროვმა. მან თქვა, რომ ინდოეთის რესპუბლიკის კინოფილმების ფესტივალი უდიდესი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში.

საბჭოთა კინემატოგრაფიის მუშაკთა და მოსკოვის მაყურებელთა სახელით ინდოელ სტუმრებს მხურვალედ მიესალმა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ბ. პ. ჩირკოვი. დედაქალაქის მშრომელთა სახელით ინდოელი სტუმრებისადმი მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ზ. ვ. მირონოვამ.

შეერებილნი ტაშით შეხვდნენ ინდოეთის კინემატოგრაფიის მოღვაწეთა დელეგაციის მეთაურს კ. ა. აბასს, რომელმაც მოელვარებით ილაპარაკა საბჭოთა და ინდოელი ხალხების მეგობრობაზე, მადლობა გადაუხადა საბჭოთა ადამიანებს გულთბილი მიღებისათვის. შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს ინდოეთის კინემატოგრაფიის მოღვაწეებმა ბიმალ როიმ, რაჯ კაპურმა, ნარგისმა, ვიჯაი ბახტმა, რომლებმაც აღნიშნეს საბჭოთა კინემატოგრაფიის კეთილნაყოფიერი გავლენა ინდოეთის კინოხელოვნების განვითარებაზე, აღნიშნეს, რომ საჭიროა შემდგომ გაფართოვდეს ინდოეთისა და სსრ კავშირის კულტურული ურთიერთობა.

საღამოზე აჩვენეს ახალი მხატვრული ფილმი „ორი გოჯი მიწა“. (საკდესი).

საბჭოთა კავშირის ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარები

დღეს ჩვენი სამშობლო აღნიშნავს ტანკისტის დღეს. საბჭოთა არმიის ყველა გვარეობის ჯარებიდან ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარები ყველაზე ახალგაზრდაა. ჩვენს ქვეყანაში ტანკმშენებლობის დასაწყისი და ამ ახალი გვარეობის ჯარების წარმოშობა ეკუთვნის სამოქალაქო ომისა და უცხოელთა ინტერვენციის წლებს, როცა კომუნისტური პარტიის მოწოდებით საბჭოების ახალგაზრდა რესპუბლიკის მშრომელები, როგორც ერთი კაცი, აღდგნენ დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად. 1919 წელს ქარხანა „კრასნოე სორმოვოს“ მუშებმა დაიწყეს პირველი საბჭოთა ტანკების დამზადება, რომლებმაც უკვე 1920 წელს მონაწილეობა მიიღეს ბრძოლებში.

საბჭოთა არმიის ჯავშანსატანკო ჯარების შემდგომი განვითარება მოხდა ომამდელი ხუთწლედების მანძილზე, რომელთა განხორციელების შედეგად ძირეულად შეიცვალა საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკა და შეიქმნა მისი თავდაცვითი ძლიერების გადიდების საჭირო წინაპირობები. ამ პერიოდში მოეწყო ჩვენში პირველხარისხოვანი სატანკო მრეწველობაც.

დიდ სამამულო ომამდე დიდი ხნით ადრე სსრ კავშირში იქმნებოდა ისეთი სატანკო და მექანიზებული შენაერთები, რომლებსაც უნარი ექნებოდათ გადაეჭრათ საბრძოლო ამოცანები როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვა გვარეობის ჯარებთან ერთად. კომუნისტური პარტია დაუცხრომლად ზრუნავდა არა მარტო ტანკების რაოდენობის ზრდისათვის, არამედ იმისთვისაც, რომ თავისი საბრძოლო თვისებებით ისინი მსოფლიოში საუკეთესო ყოფილიყვნენ. საბჭოთა ტანკმშენებლებმა შექმნეს მანქანები, რომლებშიც ჰარმონიულად შეხამებულია ძირითადი საბრძოლო თვისებები: დიდი სისწრაფე და მანევრულობა, მძლავრი შეიარაღება და ჯავშანსაფარი.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდესი სიყვარულითა და მზრუნველობით ზრდიდნენ და ზრდიან ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების კადრებს. მაღალკვალიფიციურ ტანკისტ მეთაურთა მოსამზადებლად შეიქმნა ჯავშანსატანკო სკოლებისა და სასწავლებლების ქსელი. 1932 წელს დაარსდა საბჭოთა არმიის ი. ბ. სტალინის სახელობის ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების სამხედრო აკადემია. აკადემიამ და სამხედრო სასწავლებლებმა მოამზადეს ტანკისტთა მესანაშნავი კადრები, რომლებიც სოციალისტური სამშობლოს, კომუნისტური პარტიის დიადი საქმის უსაზღვროდ ერთგულნი არიან.

* * *

ცხრა წელიწადზე მეტი ხნის წინათ ძლევამოსილად დამთავრდა ომი ფაშისტ აგრესორთა წინააღმდეგ, რომლებიც ვერაგულად დაესხნენ თავს ჩვენს სამშობლოს. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა დაიცვეს ჩვენი სახელმწიფოს თავისუფლება, ღირსება და დამოუკიდებლობა, იხსნეს კაცობრიობა და მსოფლიო კულტურა ფაშისტ ბარბაროსთა მიერ დამონებისა და მოსპობისაგან. ამ ომში საბჭოთა არმიამ მოიხვეჭა ხალხთა განმათავისუფლებლის მსოფლიო სახელი.

მტერზე გამარჯვების საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს გმირმა საბჭოთა ტანკისტებმა, რომლებმაც ცხადყვეს უსაზღვრო სიმამაცე, მაღალი საბრძოლო ოსტატობა, ღირსეულად შეასრულეს თავიანთი მხედრული მოვალეობა სამშობლოს წინაშე.

ომის დასაწყისში, როცა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები აქტიურ თავდაცვას ეწეოდნენ, საბჭოთა ტანკისტები ქვეითებთან, არტილერისტებთან, მფრინავებთან, მუზღვაურებთან თანამოქმედებით ქანცავდნენ მტერს, სპობდნენ მის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას. ფაშისტ ოკუპანტთა წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიაში ერთ-ერთი მკაფიო ფურცელი ტანკისტებმა ჩაწერეს ძლევამოსილ ბრძოლაში მოსკოვთან, სადაც წარმოიშვა პირველი გვარდიული სატანკო ნაწილები.

საბრძოლო მანქანების გამოშვების გადიდებამ საშუალება მისცა საბჭოთა არმიას მოკლე ვადაში შეექმნა საკმაო რაოდენობით ახალი დიდი ჯავშანსატანკო და მექანიზებული შენაერთები. 1942 წლის დამლევს სტალინგრადის ბრძოლაში ჯავშანსატანკო და მექანიზებული შენაერთები გამოყენებულ იქნენ როგორც ძირითადი საშუალება ღრმა დარტყმების მისაყენებლად, რომლებიც ნავარაუდევი იყო ჰიტლერელთა 330-ათასიანი დაჯგუფების გარშემორტყმისა და მოსპობისათვის.

ჯავშანსატანკო და მექანიზებულმა ჯარებმა თვალსაჩინო როლი შეასრულეს 1944 წლის შეტევაში, როცა საბჭოთა არმიამ ფაშისტებს მიაყენა ათი გამანადგურებელი დარტყმა და მთლიანად გაათავისუფლა ჩვენი ქვეყანა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან. ამ ბრძოლებში ისინი სწრაფი და ღრმა დარტყმებს აყენებდნენ მოწინააღმდეგეს, სდევნიდნენ და გარს ერტყმოდნენ მის დიდ დაჯგუფებებს, ანადგურებდნენ მის რეზერვებს და დასავლეთისაკენ უკანდასახევ გზას უჭრიდნენ მათ.

კიდევ უფრო მეტი წარმატებით მოქმედებდნენ ჯავშანსატანკო და მექანიზებული შენაერთები ომის დამამთავრებელ ეტაპზე. 1945 წელს საბჭოთა არმიამ მტერს მიაყენა უმაგალითო ძალის დარტყმა ფრონტზე ბალტიის ზღვიდან კარპატებამდე. ამ გრანდიოზულ შეტევის მთავარ მიმართულებებზე მოქმედებდნენ დიდი სატანკო ძალები. 15-17 დღეში ტანკისტებმა გაიარეს ასობით კილომეტრი ვისლიდან ოდერამდე, მიეიდნენ ფაშისტთა ბუნაგის — ბერლინის უახლოეს მისადგომებთან. ბერლინისათვის ბრძოლაში, რამაც გამოიწვია გერმანელ ფაშისტთა არმიის საბოლოო განადგურება. გარდა დიდძალი სხვა სამხედრო ტექნიკისა, 6.300 საბჭოთა ტანკი მონაწილეობდა.

ომი ევროპაში დამთავრდა სატანკო შენაერთების სწრაფი დარტყმით მტრის იმ დაჯგუფების წინააღმდეგ, რომელმაც ჟარი თქვა კაპიტულაცია მოეხდინა ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქის რაიონში. ახლა პრაღის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე აღმართულია ძეგლი — კვარცხლბეკზე დადგმული პირველი საბჭოთა ტანკი, რომელიც ქალაქში შეიჭრა. ეს ძეგლი აღმართეს ქალაქის მცხოვრებლებმა ნიშნად მადლობისა საბჭოთა არმიისა და მისი სახელოვანი ტანკისტებისადმი, რომლებმაც პირნათლად შეასრულეს თავიანთი ისტორიული განმათავისუფლებელი მისია.

უჭკნობი სახელი მოიხვეჭეს საბჭოთა ტანკისტებმა იმპერიალისტური იაპონიის წინააღმდეგ ომშიც. სხვა გვარეობის ჯარებთან თანამონაწილეობით მათ გაარღვიეს იაპონელთა მძლავრი სიმაგრეები, გადალახეს ძნელად მისაწვდომი რაიონები, მათ შორის ხინგანის მთაგრეხილები, გამანადგურებელი დარტყმა მიაყენეს კვანტუნის არმიას და გავიდნენ წყნარი ოკეანის სანაპიროზე.

სამშობლომ მაღალი შეფასება მისცა ტანკისტთა და ტანკმშენებელთა დამსახურებას. ათასობით ტანკისტი დაჯილდოებულ იქნა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით, 1.142 კაცს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, 16 კაცს ეს წოდება ორგზის მიენიჭა. 9 ათასზე მეტმა ტანკმშენებელმა მიიღო მთავრობის მაღალი ჯილდო, ბევრ ხელმძღვანელ მუშაკსა და კონსტრუქტორს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

* * *

წელს საბჭოთა ადამიანები ტანკისტის დღეს ხვდებიან უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის, კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში მოპოვებულ ახალ გამარჯვებათა ვითარებაში.

ჩვენი სამშობლოს განვითარების ომისშემდგომი წლები არის დიდი მიღწევების წლები სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში, საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების შემდგომი განმტკიცების წლები. უმაგალითოდ მოკლე ვადაში სსრ კავშირის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით მოიშუშეს ჩვენი ქვეყნისათვის მიყენებული მძიმე ჭრილობები, აღმოფხვრეს ომის შედეგები და უზრუნველყვეს სოციალისტური მეურნეობის ყველა დარგის ახალი მძლავრი აღმავლობა, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და ცხოვრების კულტურული დონის ახალი განუწყვეტელი ზრდა. საბჭოთა ხალხთან ერთად, რომელიც მტკიცე რწმენით მიდის კომუნიზმის გზით, ახალი ცხოვრების მშენებლობაში დიდ წარმატებებს აღწევენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის მშრომელები.

ჩვენი ხალხი მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევა და თანმიმდევრულად იბრძვის მშვიდობისათვის. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუხრელად ახორციელებენ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, ცდილობენ განამტკიცონ თანამშრომლობა და დაამყარონ საქმიანი ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან. ამ ნათელმა საგარეო პოლიტიკამ, რომელსაც იწონებენ და მხარს უჭერენ მთელი მსოფლიოს მშრომელები, მთელი მოწინავე კაცობრიობა, გამოიწვია სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შემდგომი განმტკიცება, ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტის ზრდა, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის უძლეველი მოძრაობის სერიოზული აღმავლობა.

მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საერთაშორისო ბანაკის ძალების განუხრელი ზრდა იწვევს იმპერიალისტთა გააფთრებულ სძულვილს. ისინი ცდილობენ ძირი გამოუთხარონ დემოკრატიული ბანაკის და, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის მზარდ ძლიერებას, ამზადებენ ახალ მსოფლიო ომს, ეწევიან გამალებულ შეიარაღებას, აშენებენ სამხედრო ბაზების ფართო ქსელს, ააქტიურებენ თავიანთი აგენტების ძირგამომთხრელ საქმიანობას. იმპერიალისტები მიდიან ცივი ომის ავანტიურისტული გზით, გზავნიან სოციალისტური ბანაკის ქვეყნიდში ჯაშუშებს, დივერსანტებს, მავნებლობისათვის ეწევიან ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ გადაგვარებულთა და სხვა ნაბოლარა მოღალატეთა მოსყიდვას.

აჩაღებს რა კომუნისტურ მშენებლობას, ახორციელებს რა მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, საბჭოთა კავშირი ფხიზლად ადევნებს თვალყურს ახალი ომის გამჩაღებელთა ხრიკებს. პარტია და მთავრობა მუდამ ზრუნავდნენ და ზრუნავენ სსრ კავშირის აქტიური თავდაცვის განმტკიცებისათვის, იმისათვის, რომ გაადიდონ საბჭოთა შეიარაღებული ძალების ძლიერება, რომლებიც ჩვენი სამშობლოს მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე დგანან.

კომუნისტური პარტიის ზრუნვა სსრ კავშირის აქტიური თავდაცვის განმტკიცებისათვის მკაფიოდ გამოხატულია პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში. მეხუთე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულება მნიშვნელოვნად გააადიდებს ჩვენი სამშობლოს ეკონომიურ ძლიერებას და შექმნის კიდევ უფრო ხელსაყრელ პირობებს იმისათვის, რომ მისი არმია და ფლოტი უზრუნველყოფილ იქნან უახლესი, კიდევ უფრო სრულყოფილი საბრძოლო ტექნიკით, იარაღითა და სხვადასხვა მასალებით.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების წინაშე დასახულია საპატიო და პასუხსაგები ამოცანა — დაიცვან კომუნიზმის მშენებელი ხალხის შემოქმედებითი შრომა, საიმედოდ უზრუნველყონ სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესები. ყველა გვარეობის ჯარების მეომრებთან ერთად ჩვენი ტანკისტები დაუცხრომლად სრულყოფენ თავიანთ საბრძოლო წრთობას, იმაღლებენ იდეურ-პოლიტიკურ დონეს, განმტკიცებენ ორგანიზებულობასა და დისციპლინას.

ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების პირადმა შემადგენლობამ მტკიცედ

რა ინვევს ჩამორჩენას?

ახალგაზრდა ინჟინერი ზაალ გახუტიშვილი რედაქციას სწერდა გორის ბამბეულის კომბინატის სართავი ფაბრიკის მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებებზე. წერილში მოყვანილი ფაქტების ადგილზე შემოწმებისას სართავი ფაბრიკის გამგემ, კომუნისტმა გიორგი რევიამ ნაცვლად იმისა, რომ გულმართლობა გამოეჩინა, გულახდილად ელაპარაკნა ფაბრიკის მუშაობის ნაკლოვანებებზე და მათ გამომწვევ მიზეზებზე, აგრეთვე იმაზე, თუ რა დახმარებას საჭიროებენ მრთველები, ასე განაცხადა:

— ეგ „მწერალი" (ლაპარაკია ზ. გახუტიშვილზე — მ. ხ.) თვითონ საჭიროებს შემოწმებას. რაც შეეხება მე, მე ისეთს ვერაფერს გეტყვით, რომ თქვენ გამოგადგეთ. წერილის სისწორე კი როგორც გნებავთ, ისე დაადგინეთ.

რა თქმა უნდა, ამხ. რევიას დაუხმარებლადაც შეიძლებოდა ფაქტების სისწორის შემოწმება. სწორედ ასეც მოხდა. ამ შემოწმებამ კი გვიჩვენა გახუტიშვილის სიტყვების სისწორე. მიმდინარე წელს მუშაობაში ჩამორჩა კომბინატის სართავი ფაბრიკა. აქ დაბალია შრომის ნაყოფიერება, სისტემატურად არ სრულდება საწარმოო გეგმები. განვლილ რვა თვეში მრთველებმა სახელმწიფოს 119,7 ტონა ნართი დააკლეს. სართავი ფაბრიკის კოლექტივის დაბალნაყოფიერი შრომა ხელს უშლის საქსოვი ფაბრიკის გამართულ მუშაობას.

რით არის გამოწვეული შრომის დაბალი ნაყოფიერება სართავ ფაბრიკაში? — იმით, რომ დიდია მანქანების მოცდენა, ცუდად არის ორგანიზებული შრომა და სუსტია შრომის დისციპლინა, ყურადღება არ ექცევა მოწინავე ფერეიკართა გამოცდილების განზოგადებას.

დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს. განვლილ პერიოდში ბევრჯერ დაირღვა ტექნოლოგიური პროცესი სპპერტყდამხარისხებელ საამქროში (ყოფილი უფროსი მ. ხახუშვილი), არათანაბრად წარმოებდა ბამბაში ნარჩენების შერევა, ამის გამო მიღებული ხვიის უთანაბრობა იმაზე უფრო მეტი იყო, ვიდრე ეს დაშვებულია, ეს ისეთი ნაკლია, რომლის გამოსწორება შემდგომ პროცესებში შეუძლებელია. ამასთან საამქროში ფართოდ არ იყენებენ ტამბის „ემულსიას". მისი გამოყენება კი საგრძნობლად შეამცირებდა წყვეტიანობას შემდგომ გადასვლებზე, გაზრდიდა მანქანების წარმადობას.

უკეთესად არც მოსამზადებელი საამქროს კოლექტივი მუშაობს. საამქროში ხშირია მანქანების მოცდენა. ირღვევა შრომის დისციპლინა. ცვლაში, რომელსაც ოსტატი ნ. მერებაშვილი ხელმძღვანელობს, მარტო მაისში შრომის დისციპლინის დარღვევის 44 შემთხვევაა აღრიცხული.

სხვა ნაკლოვანებებთან ერთად ამ საამქროში ის ნაკლიც აქვთ, რომ დაბალხარისხოვან პროდუქციას უშვებენ. მაგრამ წუნდებული პროდუქციის გამომშვებნი რატომღაც არ ისჯებიან, როგორც საამქროს უფროსი ონიაშვილი ამბობს, დამნაშავეთა დასჯას ერიდებიან და საქმეს შინაურულად „აგვარებენ".

მუშაობაში განსაკუთრებით ჩამორჩენია სართავი ფაბრიკის სართავი საამქრო, რომელსაც ს. მაკრახიძე ხელმძღვანელობს. ამ საამქრომ წელს მხოლოდ აპრილის გეგმა შეასრულა. ყოველთვიურად საამქროში შრომის დისციპლინის დარღვევის ათზე მეტი შემთხვევაა. არის ტექნიკის მოცდენის შემთხვევებიც. მარტო მიმდინარე წლის სექტემბრის მეორე ხუთდღიურის ოთხ დღეში თასმის უქონლობით ყოველდღიურად ცდებოდა 4 ათასამდე თითისტარი. თასმა კი იმიტომ დააკლდათ, რომ უყაირათოდ ხმარობდნენ, გადახარჯეს.

საამქროს პარტორგანიზაცია სუსტად იბრძვის შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის, ურიგდება ნაკლოვანებებს. გეგმებს ის ცვლაც ვერ ასრულებს, რომელსაც თვით საამქროს პარტორგანიზაციის მდივანი გიორგი გივიაშვილი ხელმძღვანელობს.

სართავი ფაბრიკის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები არ აფასებენ სოციალისტური შეჯიბრების მაორგანიზებელ ძალას. მოსამზადებელ საამქროში მომუშავეთა 15-20 პროცენტი სოციალისტურ შეჯიბრებაში არ არის ჩაბმული. აქვე უნდა ითქვას, რომ საერთოდ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში ფეიქრების სუსტად ეხმარება კომბინატის პროფორგანიზაცია (კომიტეტის თავმჯდომარე შ. კვიტაშვილი).

მოწინავე ფეიქართა გამოცდილების შესწავლისა და გავრცელების მიზნით წინათ ფაბრიკაში იმართებოდა „ოსტატის დღე". უკანასკნელ ხანს კი იგი დავიწყებას მიეცა.

აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი. ზოგჯერ ფაბრიკის საამქროებში დაცული არ არის ნორმალური ტემპერატურა, რაც მეტად უარყოფით გავლენას ახდენს პროდუქციის ხარისხსა და შრომის ნაყოფიერებაზე. ეს იმის შედეგია, რომ საამქროებში მოუწესრიგებელია ვენტილაცია.

ეს ნაკლოვანებები არ იქნებოდა, ფაბრიკის ხელმძღვანელობა, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები გონივრულად რომ იყენებდნენ მათს განკარგულებაში არსებულ შესაძლებლობებს, კონკრეტულ ხელმძღვანელობას არ ცვლიდნენ სასხდომო ფუსფუსით, ხოლო კომბინატის დირექცია და პარტბიურო ოპერატიულად რომ იღებდნენ ზომებს ჩამორჩენის გამოსასწორებლად.

მ. ხეთაგური,

„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

სურათზე: გურჯაანის რაიონის სოფ. ვეჯინის ლენინის სახელობის კოლმეურნეები (მარცხნიდან მარჯვნივ) მარო გველესიანი და ელენე ბერიკაშვილი, რომლებიც ყოველდღიურად 500-600 კილოგრამს ყურძენს კრეფენ ნაცვლად 400 კილოგრამისა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

რთველი გაჩაღდა

გურჯაანის რაიონში რთველი დაიწყო. რაკიწითლით, საფერავითა თუ მწვანით დატვირთული ავტომანქანებისა და ურმების კარავნები ღვინის ქარხნებისა და მარნებისაკენ დაიძრა. გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობაში ყურძნის კრეფასა და გადამუშავებაზე 400 კოლმეურნე მუშაობს. პირველ დღეს 900 ცენტნერი ყურძენი დაიკრიფა, მეორე დღეს კი ათას ცენტნერზე მეტი.

მეცხრე ბრიგადის ვენახები, რომლებიც „მუხიანში" მდებარეობს, წინა წლებში ყველაზე მცირე მოსავალს იძლეოდა. მოუსავლიანობა ცუდი მუშაობის შედეგი იყო. წელს თვითეულ ვაზს მზრუნველად მოუარეს და შრომაც დაუფასდათ. გ. მაილოვის რგოლმა საშუალოდ ჰექტარზე 143 ცენტნერი ყურძენი მიიღო. ბრიგადირის ი. ამერლიშვილის განცხადებით, სხვა რგოლები კიდევ უფრო დიდ მოსავალს მიიღებენ.

„ახოებში" სოციალისტური შრომის გმირის ივანე ალბეგოვის ბრიგადის ვენახებია. პირველ დღეს ბრიგადამ ნაკლებმსხმოიარე ვენახი დაკრიფა. მიუხედავად ამისა, საშუალოდ ჰექტარზე 110 ცენტნერზე ნაკლები ყურძენი არ მიუღიათ.

ყურძნის კრეფა-გადამუშავებაზე ყველა ბეჯითად, საქმის სიყვარულით მუშაობს, მაგრამ მათ შორის უკეთესებიც არიან. ნინო შავკაცი-შვილი, ვარო ომსარაშვილი, ვერა ჩუგუშვილი, არუსიაკა მერაბიშვილი და სხვები დღეში გეგმის გადამეტებით 150-200 კილოგრამ ყურძენს კრეფენ.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. აბრამ დავითაშვილმა განაცხადა: — ახლავე შემიძლია ვთქვა, რომ წელს 137 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 100 ცენტნერზე ნაკლებ ყურძენს არ მოკრეფთ. სახელმწიფოს გეგმით 580 ტონა ყურძენი უნდა ჩავაბაროთ. ფაქტიურად 700 ტონაზე მეტს ჩავაბარებთ.

რთველი ვეჯინის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაშიც დაიწყო. ი. ბიაშვილის ბრიგადის რგოლმა, რომელსაც ნ. ხარიტონაშვილი ხელმძღვანელობს, საშუალოდ ჰექტარზე 147 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა.

რაიონის კოლმეურნეობებს დახმარება სჭირდებათ პირველ რიგში ტრანსპორტით. რთველის პირველ დღეს, იმის გამო, რომ ავტომანქანები საკმარისი არ იყო, ყურძნით სავსე ორი ათასი გოდორი ვენახებში დარჩა. თუ ასე გაგრძელდა, ყურძნის ხარისხი დაეცემა, დანაკარგები გაიზრდება.

ს. ქოჩლაძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი.

ახალი წარმოება

ამ ცოტა ხნის წინათ არტელმა „ახალმშენმა" სოფელ ლილოში მოაწყო სახურავი მასალის — რუბეროიდის წარმოება. რუბეროიდი მსუბუქი, გამძლე და იაფი სახურავი მასალაა და მას ფართოდ იყენებენ მშენებლობაში. ერთი თვის განმავლობაში არტელმა უკვე გამოუშვა 120 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი რუბეროიდი. წლის ბოლომდე დამზადებული იქნება 500 ათასი კვადრატული მეტრი. მომავალი წლიდან რუბეროიდის წარმოება კიდევ უფრო გაფართოვდება.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

წიგნი დიდი ჩინეთის შესახებ

სახელმწიფო გამომცემლობამ მეტად კარგი საქმე გააკეთა იმით, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეხუთე წლისთავთან დაკავშირებით გამოუშვა დავით მაისურაძის წიგნი „ჩინეთის სახალხო რევოლუციის გამარჯვება".

წიგნში კარგად არის გადმოცემული უცხოელი იმპერიალისტების მიერ ჩინეთის დამონებისა და გავლენის სფეროებად მისი დანაწილების ისტორია.

ჩინელი ხალხი არაერთხელ აჯანყებულა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ტაიპინებისა და ბოქსიორთა აჯანყება.

რვა იმპერიალისტურმა სახელმწიფომ — გერმანიამ, იაპონიამ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა, საფრანგეთმა, იტალიამ, მეფის რუსეთმა და ავსტრია-უნგრეთმა ინტერვენცია მოაწყეს ჩინეთის წინააღმდეგ და სისხლში ჩააბრჩეს „ბოქსიორთა აჯანყება".

დამსჯელი რაზმები იმპერიალისტებისა, განსაკუთრებით გერმანელების, იაპონელებისა და ამერიკელებისა, ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდნენ ყველას, ვინც კი შეხვდებოდათ გზაზე. 1901 წლის 7 სექტემბერს ჩინეთთან დადებულ იქნა ზავი, რომელსაც „ბოქსიორთა ოქმი" ეწოდა. ამ ოქმის შედეგად მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფო ნახევრადკოლონიურ მდგომარეობამდე დაქვეითდა.

ინგლისი გაბატონდა მდინარე იანძის აუზში, სამხრეთ ჩინეთსა და ნაწილობრივ ჩრდილოეთ ჩინეთში, საფრანგეთი — სამხრეთ-დასავლეთ პროვინციებში, იაპონია — კორეაში, ჩრდილოეთ ჩინეთსა და ფუძიანის პროვინციაში, გერმანია — შანდუნის პროვინციაში, რუსეთი — მანჯურიაში, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები „ღია კარის" ლოზუნგით აყჩიღურად ძარცვავდნენ მთელ ჩინეთს.

რუსეთის 1905 წლის რევოლუციამ უდიდესი გავლენა მოახდინა ჩინეთის ხალხზე. ჩინეთში წარმოიქმნა მთელი რიგი რევოლუციური ორგანიზაციები, რომლებმაც ბრძოლა გააჩაღეს ფეოდალური მონარქიის დასამხობად.

წიგნში კარგად არის გადმოცემული ჩინეთის დიდი პოლიტიკური მოღვაწის სუნ იატ-სენის მოღვაწეობა და ჩინეთის 1911-1913 წლების რევოლუცია, რომელიც ჩანასახშივე დაიღუბა იმიტომ, რომ იმ პერიოდში პროლეტარიატი ჯერ კიდევ არ იღებდა შეგნებულ მონაწილეობას რევოლუციაში და, რაც მთავარია, მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა კომუნისტური პარტია.

ავტორი დაწვრილებით განიხილავს ჩინეთის კომუნისტური პარტიის შექმნის ისტორიას და მის ბრძოლას როგორც შინაგანი რეაქციის, ისე იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მაო ძე-დუნის ხელმძღვანელობით რიცხობრივად ჯარ და გაცილებით უკეთ შეიარაღებულ მტერთან ბრძოლის ძნელ პირობებში და რთულ საშინაო და საგარეო ვითარებაში შეძლო სწორი პოლიტიკური ხაზის დასახვა და გატარება. ჩინეთის დამოუკიდებლობისათვის და მშრომელთა სოციალური განთავისუფლებისათვის ბრძოლის მიზნით კომუნისტური პარტია დაარსების პირველი დღეებიდანვე შეუდგა ერთიანი ეროვნული ანტიიმპერიალისტური ფრონტის შექმნას. იგი მამაცურად ხელმძღვანელობდა ჩინელი ხალხის შეიარაღებულ ბრძოლას კონტრრევოლუციის წინააღმდეგ.

ავტორს ნათლად აქვს გადმოცემული 1937-1945 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

როგორც ცნობილია 1937 წ. 7 ივლისს იაპონიის ჯარები ომის გამოუცხადებლად დასხნენ თავს ჩინეთს. გომინდანის ჯარები, რომლებსაც მოღალატე მეთაურები ჰყავდათ, სულ უკან იხევდნენ. იაპონელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლის სათავეში ჩაუდგა კომუნისტური პარტია, ჩინეთის ეროვნული ინტერესების ერთგული და თანმიმდევრული დამცველი.

ჩინეთის კომუნისტური პარტია და მის მიერ შექმნილი სახალხო არმია წარმოადგენდნენ მთავარ ძალას იაპონელების წინააღმდეგ წარმოებულ ომში.

ავტორს კარგად აქვს დახასიათებული მე-8 და მე-4 სახალხო-რევოლუციური არმიების გმირული ბრძოლა იაპონელი დამპყრობლების წინააღმდეგ.

ომის მთელი სიმძიმის გადატანა ძირითადად უხდებოდათ კომუნისტურ პარტიასა და სახალხო შეიარაღებულ ძალებს. სახალხო-რევოლუციურ არმიას შებოჭილი ჰყავდა იაპონიის ჯარების 64,5 პროცენტი, გომინდანელთა ფრონტზე კი იაპონელთა ძალების მხოლოდ 35,5 პროცენტი მოქმედებდა.

1939 წლიდან გომინდანმა აშკარა ბრძოლა დაიწყო კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. გომინდანის აღმასკომის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება კომუნისტური პარტიის მოქმედების შეზღუდვის შესახებ, რაც ფაქტიურად გომინდანის ტერიტორიაზე კომუნისტური პარტიის აკრძალვას ნიშნავდა.

1938-1940 წლების განმავლობაში გომინდანის ჯარები მოღალატურად ზურგიდან ესხმოდნენ თავს მე-8 და მე-4 სახალხო-რევოლუციურ არმიებს. იაპონელები ღრმად შეიჭრნენ ცენტრალურ და სამხრეთ ჩინეთში.

სახალხო-რევოლუციური არმიები და პარტიზანთა რაზმები, ჩინეთის დემოკრატიული ძალები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მამაცურად იბრძოდნენ ჩინეთის ყოველი მტაკაელი მიწისათვის.

სახალხო-რევოლუციურ არმიებს იაპონიასთან რვა წლის ომის განმავლობაში 115 ათასჯერ ჰქონდათ შეტაკება ვერაგ მტერთან. ამ ბრძოლებში იაპონიისა და მის მიერ შექმნილი მარიონეტული მთავრობის ჯარებმა დაკარგეს 1.700 ათასი კაცი მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვეთა სახით.

1945 წლის 3 აგვისტოს ევროპაში ომის დამთავრების სამი თვის შემდეგ საბჭოთა კავშირმა, მოკავშირეებთან შეთანხმების შესაბამისად, შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით საომარი მოქმედება დაიწყო იმპერიალისტური იაპონის წინააღმდეგ, რის შედეგადაც ჩინეთი განთავისუფდა იაპონიის უღლისგან.

წიგნში ფართოდ არის გაშუქებული ჩინეთის სახალხო რევოლუციის გამარჯვება და სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის გმირული ბრძოლა ჩანკაიშელთა ხროვის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მიერ იაპონიის განადგურების შემდეგ დღის წესრიგში დადგა ჩინელი ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხი. ჩინელ ხალხს აქჯერად უკვე ამერიკის შეერთებული შტატები უპირებდნენ დამონებას.

ამერიკის შეერთებული შტატები გამალებით აიარაღებდნენ გომინდანის ხროვას კომუნისტების წინააღმდეგ სახრძოლველად. მარტო 1945 წლის აგვისტოდან 1946 წლის თებერვლამდე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჩან კაი-შის მთავრობას მისცეს 600 მილიონი დოლარის ღირებულების საომარი იარაღი და სატრანსპორტო საშუალებანი. უკვე 1945 წლის ოქტომბერში ჩან კაი-შის შეიარაღებულმა ძალებმა სახალხო არმიების წინააღმდეგ დაიწყეს დიდი მასშტაბის საომარი მოქმედება, რომელიც ოთხ წელიწადზე მეტ ხანს გრძელდებოდა. სახალხო-განმათავისუფლებელი არმია გმირულად იბრძოდა თავით ფეხებამდე შეიარაღებულ გომინდანელთა ხროვის წინააღმდეგ. გომინდანელთა ჯარები ძალებისა და შეიარაღების უპირატესობის მიუხედავად მდგომარეობა სწრაფად იცვლებოდა სახალხო არმიის სასარგებლოდ.

1947 წლის აგვისტოში სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ დაიწყო შეტევა, რომელიც არ შენელებულა სრული გამარჯვების მოპოვებამდე.

სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მიერ 1948-1949 წლების შემოდგომა-ზამთრის შეტევის პერიოდში მოპოვებულ ბრწყინვალე გამარჯვებათა შედეგად რეაქციულ გომინდანელებისა და ბანდიტების „ბატალიონების" [illegible] განთავისუფლებულ იქნა მთელი მანჯურია, ჩრდილოეთ ჩინეთი და ცენტრალური დაბლობი. 1946 წლიდან 1949 წლის აპრილამდე სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ მოსპო და ტყვედ ჩაიგდო 5 მილიონზე მეტი გომინდანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ეყრდნობოდა რა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკის მხარდაჭერას, ჩინელმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხო ჩანკაიშელთა რეაქციული ხროვა, მოიშორა უცხოელ იმპერიალისტთა უღელი და 1949 წლის 1 ოქტომბერს გამოაცხადა ჩინეთი სახალხო რესპუბლიკად.

წიგნში დამაჯერებლად არის გაშუქებული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების შემდეგ ჩინეთში სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვება წარმოადგენს მსოფლიო ისტორიის ყველაზე დიდმნიშვნელოვან მოვლენას — ერთი მხრივ ახალ სასიკეთილო დარტყმას მსოფლიო იმპერიალიზმის მთელი სისტემის წინააღმდეგ, ხოლო მეორე მხრივ სოციალიზმისა და დემოკრატიის ძალების ზეგმს.

შინაური რეაქციისა და იმპერიალიზმის ძალებზე ჩინელი ხალხის გამარჯვებაში და სახალხო რესპუბლიკის შექმნაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ჩინეთის მუშათა კლასმა და მისმა ავანგარდმა — კომუნისტურმა პარტიამ.

ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც შეიარაღებულია მარქსისტულ-ლენინური იდეებით, შეუპოვარი ბრძოლების ცეცხლში განვლო უძნელესი გზა და გადაიქცა მასობრივ პარტიად, მთელი ჩინეთის ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალად.

ჩინეთის კომუნისტურ პარტიას გზას უნათებდა და უნათებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მდიდარი გამოცდილება.

ჩინელმა ხალხმა უმოკლეს ვადაში შეძლო დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენა. სამ წელზე ნაკლები ხნის განმავლობაში აღდგენილ იქნა მრეწველობა და ტრანსპორტი. უკვე 1952 წლის დასასრულისათვის ფოლადის, თუჯის დაზგების, ხელსაწყოებისა და მსუბუქი მრეწველობის ბევრი დარგის პროდუქციის გამოშვებამ გაცილებით გადააჭარბა ომამდელ დონეს. 1953 წელს მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში იყო 130 ქარხანა და შახტი, ნავთობის სარეწი და რამდენიმე დიდი ელექტროსადგური.

ჩინეთისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრარული რეფორმის გატარებას, რომელმაც მოსპო მემამულეთა ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობა. ჩამორთმეული მიწა დაურიგდა 300 მილიონ გლეხს, გლეხობის მფლობელობაში გადავიდა 47 მილიონი ჰექტარი მიწა. აგრარულმა რეფორმამ ძირფესვიანად შეცვალა ჩინეთის სოფლის ეკონომიური წყობა.

ქვეყნის სამეურნეო განვითარებასთან ერთად ჩინეთის სახალხო მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქცია კულტურის აღორძინებას და ამ მხრივ მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწია.

წიგნის უკანასკნელი ნაწილი მიძღვნილია საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხალხთა დიადი მეგობრობისადმი.

სამწუხაროდ, წიგნში ზოგიერთი საკითხი შედარებით მკრთალად არის გაშუქებული.

ავტორს მოკლედ აქვს აღნიშნული ეროვნული საკითხის გადაწყვეტა თანამედროვე სახალხო ჩინეთში, ავტონომიური ეროვნული რაიონების ჩამოყალიბება და სხვ. საინტერესო იქნებოდა, რომ წიგნში გაშუქებული ყოფილიყო ახალგაზრდობის როლი როგორც სახალხო რევოლუციის გამარჯვებაში, ისე მშვიდობიანი მშენებლობის დროს.

წიგნი კარგი ენით არის დაწერილი და ინტერესით იკითხება. იგი დიდ დახმარებას გაუწევს ქართველ მკითხველს ჩინეთის სახალხო რევოლუციის შესწავლაში.

ნ. ნაბუღებია.

ქართველი მთასვლელები პამირის მწვერვალებზე

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო ალპინიზმის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი გეზი 6.000 მეტრზე უფრო მაღალი მწვერვალების დაპყრობის გზით წარიმართა. მსოფლიოს უმაღლეს მთაგრეხილებს — ჰიმალაის, ყარაყორუმისა და ჰინდუკუშის ქედებს ზედიზედ ეწვიენ ინგლისელი, იტალიელი, ამერიკელი, ნორვეგიელი და სხვა ქვეყნების მთასვლელები. ინგლისელთა ექსპედიციის წევრებმა ახალზელანდიელმა ჰილარიმ და ნეპალელმა შერპამ თენსინგმა მიაღწიეს მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალს — ევერესტს, გერმანელებმა — ნანგა-პარბატს, ნორვეგიელებმა ჰინდუკუშის ქედის უმაღლეს წვერტილს — თირაჯ-მირს.

საბჭოთა მთასვლელებმა უმაღლესი მწვერვალებისათვის ბრძოლა დაიწყეს ჯერ კიდევ 30-იან წლებში. 1934 წელს ევგენი აბალაკოვმა მიაღწია საბჭოთა კავშირის უმაღლეს მწვერვალს — სტალინის პიკს. შემდგომი ასვლები მოხდა ლენინის პიკზე, ხან-თენგრიზე, კორჟენევსკაიას პიკზე და სხვ.

საქართველოს მთასვლელთა სპეციალური ექსპედიციის შექმნამ ჩვენი რესპუბლიკის მთასვლელებს საშუალება მისცა უშუალოდ მიეღოთ მონაწილეობა უმაღლეს მწვერვალთა დაპყრობაში.

ჩვენი ექსპედიცია მიზნად ისახავდა არა მარტო იმას, რომ ქართველ მთასვლელებს თავიანთი წვლილი შეეტანათ უმაღლესი მწვერვალების დაპყრობის საქმეში, არამედ ერთგვარი სიახლითაც აღენიშნათ ეს.

ექსპედიციის ორგანიზაციის დროს გათვალისწინებული იყო, რომ ჩვენი რესპუბლიკის მთასვლელები, რომლებიც გაიწვრთნენ კავკასიონზე, დახელოვნებულ იყვნენ ტექნიკურად ძნელადმისაღწევ მწვერვალებზე ასვლაში. ამიტომ მთასვლელების 6.500-6.700 მეტრ სიმაღლეზე გამოცდის შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა ასვლა ასეთივე სიმაღლის და ამავე დროს ტექნიკურად ძნელად მისადგომ მწვერვალზე. ჩვენ უნდა დაგვეძლია ასეთი მწვერვალი შვიეული კედლით, რაც მოითხოვს ალპინიზმის უმაღლესი ტექნიკის გამოყენებას. ეს იქნებოდა სრულიად ახალი სიტყვა ალპინიზმის განვითარების ისტორიაში და საფუძველს ჩაუყრიდა ასასვლელად რთულ და ამავე დროს 6.000 მეტრზე უფრო მაღალი მწვერვალების დაპყრობისათვის ბრძოლას საერთაშორისო ალპინიზმში.

ეს იყო მეტად პასუხსაგები და ძნელი ამოცანა. ამიტომ ექსპედიცია დაკომპლექტდა საქართველოს უძლიერესი მთასვლელებით. მათ შორის იყვნენ: ა. ივანიშვილი (ექსპედიციის უფროსის მოადგილე), ა. ნემსიწვერიძე (გუნდის კაპიტანი), სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. გვარლიანი, გ. გულბანი, სპორტის ოსტატი ლ. სუჯაშვილი, დ. გუგავა, ს. გუგავა, ლ. ახვლედიანი, ზ. ახვლედიანი, ჯ. მეძმარიაშვილი, ს. ცაიშვილი, დ. ყალბეგიშვილი, ა. იაშვილი, ა. ქავთარაძე, დ. ყანდარელი, გ. თიკანაძე და სხვ. ექსპედიციაში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე მოსკოველი მთასვლელები სპორტის დამსახურებული ოსტატი კ. კუზმინი და ა. სუსლოვი, თბილისის კინოსტუდიის ოპერატორები — ბ. კრეპსი და ო. დეკანოსიძე, ექიმი მთასვლელი თ. ახმეტელი.

ექსპედიცია ივნისის ბოლო რიცხვებში თბილისიდან ტამკენტზე გავლით ქალაქ ოშში ჩავიდა, საიდანაც ავტომანქანით დაახლოებით 700 კილომეტრის გავლის შემდეგ მიაღწია ასვლების რაიონს მდინარე ფიანჯის ხეობაში.

ასვლებისათვის აირჩიეთ შახდარის (ვაჰანის) ქედი, რომელიც მდებარეობს საბჭოთა პამირის სამხრეთ განაპირა მხარეს, ჰინდუკუშის ქედის გვერდით. შახდარის ქედი საინტერესო იყო იმ მხრივაც, რომ ის მხოლოდ ერთხელ მოინახულეს მთასვლელებმა (1946 წელს სპორტის დამსახურებული ოსტატის ევგენი აბალაკოვის ჯგუფმა). ისინი ავიდნენ კარლ მარქსის სახელობის მწვერვალზე (6.726 მეტრი) და დაზვერეს ფრიდრიხ ენგელსის სახელობის მწვერვალი (6.510 მეტრი). კარლ მარქსის მწვერვალის გარდა ქედის სხვა მწვერვალები ძირითადად აუღებელი იყო.

ასვლები დავიწყეთ კარლ მარქსის მწვერვალიდან. ამ მწვერვალის დაზვერის დროს მთასვლელები მ. გვარლიანი, გ. გულბანი და კ. კუზმინი ავიდნენ 6.300 მეტრი სიმაღლის უსახელო მწვერვალზე და პირველ ამსვლელთა უფლებით მას საბჭოთა ალპინიზმის ფუძემდებლის გიორგი ნიკოლაძის სახელი უწოდეს. ასვლა კარლ მარქსის მწვერვალზე საშუალებას გვაძლევდა გამოგვეცადა ჯგუფი დიდ სიმაღლეზე. ასვლის პირველი ცდა უშედეგოდ დამთავრდა. 6.300 მეტრის სიმაღლეზე ჯგუფმა კარვები გაშალა მწვერვალის საკმაოდ დიდი დაქანების ფერდობზე. ღამით დაიწყო ავდარი, რომელიც იმ-ხელმძღვანელი), კ. კუზმინი, ს. ცაიშვილი, დ. გუგავა, ლ. და ზ. ახვლედიანები და ჯ. მეძმარიაშვილი. წინა დღეებში მიღებულმა აკლიმატიზაციამ (ანგბადის ნაკლებობასთან შეჩვევა) ხელი შეუწყო ჯგუფის წარმატებას. კარლ მარქსის სახელობის მწვერვალის აღმოსავლეთ მხრის ციცაბო თოვლყინულიანი ფერდობი წარმატებით იქნა დაძლეული და ჯგუფმა მწვერვალს მიაღწია.

სანამ ეს ჯგუფი ახდენდა ასვლას, მ. გვარლიანი, გ. გულბანი და გ. ყალბეგიშვილი გაემართნენ გვერდით ხეობაში ენგელსის მწვერვალის დაზვერვის მიზნით. დაზვერვის პროცესში ისინი პირველ ასვლას ახდენდნენ 6.000 მეტრის სიმაღლის მწვერვალზე, რომელსაც მათ უწოდეს 1929 წელს თეთნულზე დაღუპულთა სახელი.

მზვერავმა ჯგუფმა დაადგინა, რომ თუმცა ენგელსის სახელობის მწვერვალზე ასვლა მეტად რთულ ამოცანას წარმოადგენდა, მაგრამ მაინც შესაძლებელი იყო. ერთ ადგილას 1.300 მეტრის სიმაღლის შვეულ კედელს მიჰყვებოდა ასეთივე შვეული ღარი, რომელშიც ადგილ-ადგილ ყინული იყო ჩაწოლილი. ეს იყო ასვლის ერთადერთი შესაძლებელი გზა. როდესაც ძირითადი ჯგუფი კარლ მარქსის სახელობის მწვერვალის რაიონიდან გადმოვიდა ენგელსის სახელობის მწვერვალის რაიონში, დაიწყო ასვლისათვის უშუალო მზადება. ჯგუფს კარგად ესმოდა, რომ ეს იყო მეტად პასუხსაგები ამოცანა, რომლის შესრულებაც მოითხოვდა მთელი ძალღონის მაქსიმალურ დაძაბვას. მწვერვალის კედლის მრისხანე სახე, რომლის ღარებში გამუდმებით მოისმოდა ქვათაცვენის ყრუ ხმაური, სერიოზულ გაფრთხილებას წარმოადგენდა იმ საშიშროების შესახებ რასაც მწვერვალზე ასვლა წარმოადგენდა.

ასვლის გეზი, მისი ტექნიკური სირთულისა და დიდი საშიშროების გამო არ იძლეოდა საშუალებას, რომ ასვლა მოეხდინა დიდ ჯგუფს. ამიტომ ამსვლელთა რაოდენობა განსაზღვრული იქნა მხოლოდ 4 კაცით. ამ ჯგუფში შევიდნენ მ. გვარლიანი, კ. კუზმინი, ა. ნემსიწვერიძე და გ. გულბანი. ექსპედიციის დანარჩენი წევრებიდან შედგა მაშველი ჯგუფი, რომელსაც დღეღამის განმავლობაში შეუწყვეტლივ უნდა ედევნებინა თვალყური მწვერვალისაკენ წასულთათვის, რათა საჭიროების მიხედვით დაეწყო მაშველი სამუშაოები. დადგა იერიშის პირველი დღე. ოთხი მოიერიშე მიადგა კედლის ფუძეს და შეუდგა ასვლას შვეული კედლით. პირველ დღეს გავლილ იქნა კედლის დაახლოებით ერთი მესამედი და მთასვლელებს ღამის გათევა მოუხდათ ღარის ყინულებში კუნძულისმაგვარად ამოზიდულ მცირე კლდოვან ქიმზე. იერიშის მეორე დღეს საჭირო გახდა ურთულესი კლდოვანი უბნების დაძლევა. კლდეს ხელსაკიდები თითქმის არ ჰქონდა. წინსვლა ხდებოდა პალოების მუდმივი გამოყენებით, სიმაღლემ მიაღწია 6.000 მეტრს. რთულ პიტალო კედლებზე ცოცვა მძიმე ზურგჩანთებით კოლოსალური ენერგიის ხარჯვას ითხოვდა, ენგბადის ნაკლებობა აშკარად იგრძნობოდა. ცხადია, თუ რა რთულ ამოცანას წარმოადგენდა ასეთი მაღალი მწვერვალის შვეული კედლებით დაძლევა. მაგრამ გადაწყვეტილება მტკიცე იყო, მთასვლური რთული ტექნიკური ილეთები ერთმანეთს ცვლიდნენ, მხოლოდ მესამე დღეს გახდა შესაძლებელი თხემზე ასვლა. იმავე დღეს მიღწეულ იქნა მწვერვალი. ამსვლელებმა ირვიათი სიმამაცე, გამბედაობა გამოიჩინეს და ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ ისინი უძლიერესი საბჭოთა მთასვლელები არიან

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესია

პეკინი, 24 სექტემბერი. (საკდესი). 24 სექტემბერს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესიაზე გრძელდებოდა კამათი ჯოუ ენ-ლაის მოხსენების გამო „მთავრობის მუშაობის შესახებ“.

კამათში გამოსულმა ყველა დელეგატმა მოიწონა ჯოუ ენ-ლაის მოხსენება, რომელშიც აღნიშნულია ჩინელი ხალხის ისტორიული გამარჯვებები პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნიდან განვლილი ხუთი წლის მანძილზე. დელეგატებმა ილაპარაკეს აგრეთვე იმ ამოცანებზე, რომლებიც დასახულია ჩინელი ხალხის წინაშე მომავალში ჩინეთში სოციალიზმის აშენებისა და ჩინეთის მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ გადაქცევის გზაზე.

სხდომაზე წაიკითხეს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული კრების პრეზიდიუმის მისალმება სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრებისადმი.

ახალი მთავრობა სამხრეთ ვიეტნამში

პარიზი, 24 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო საიგონიდან იუწყება, სამხრეთ ვიეტნამის პრემიერ-მინისტრმა ნგო დინ დიემმა შექმნა ახალი მთავრობა.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, მწვავე ბრძოლის შედეგად, რომელიც მიმდინარეობდა ძალაუფლებისათვის ნგო დინ დიემის ჯგუფსა და არმიის ოფიცერთა ჯგუფს შორის, რომელსაც სამხრეთ ვიეტნამის არმიის გენერალური შტაბის უფროსი მეთაურობს, შეიქმნა ფრიად დაძაბული მდგომარეობა. ნგო დინ დიემის მთავრობა იყო დამხობის წინაშე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 20 სექტემბერს გადადგა 9 მინისტრი, ხოლო განმრთელობის დაცვის მინისტრი ტრან მინ ტი მიიმალა გაურკვეველი მიმართულებით.

ნგო დინ დიემი იხსნეს ამერიკელებმა. როგორც საიგონიდან იუწყებიან, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა დონალდ ჰატა აუხსნა გენერალ ნგუენ ვან ხინს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ იწონებენ სახელმწიფო გადატრიალებას და არ აცნობენ მთავრობას, რომელიც გადატრიალების შედეგად შეიქმნება. ამერიკის შეერთებული შტატების ეს აზრი გადასცეს აგრეთვე ბაო დაის.

ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ ნგო დინ დიემმა თავისი ახალი მთავრობა შექმნა ამერიკის სამხედრო წრეების მხარდაჭერით.

მთავრობის ახალ შემადგენლობაში ნგო დინ დიემს უკავია პრემიერ-მინისტრის პოსტი, აგრეთვე მინაგან საქმეთა მინისტრისა და თავდაცვის მინისტრის პოსტები, საგარეო საქმეთა მინისტრად დარჩა ტრან ვან დონი. ამასთან ერთად მთავრობის ბაზის განმტკიცების მიზნით მის შემადგენლობაში შეყვანილი არიან კათოლიკეებისა და „ხოა-ხაოს“ სამხედრო-რელიგიური სექტების წარმომადგენლები, რომელთაც დიდი გავლენა აქვთ სამხრეთ ვიეტნამში.

ერიოს განცხადება

პარიზი, 23 სექტემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ლიბერასიონი“ იუწყება, რონის დეპარტამენტის შვიდობის მოძრეთა დელეგაციამ ინახულა საფრანგეთის ეროვნული კრების სპიკერი თავმჯდომარე, ქალაქ ლიონის მერი ედუარდ ერიო.

დელეგაციის მეთაურმა დეკონმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ დელეგაცია მშვიდობის მომხრეთა სახელით მიესალმა ედუარდ ერიოს და მადლობა გადაუხადა ეროვნულ კრებაში 30 აგვისტოს გამოსვლისათვის „ბადაღებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნის წინააღმდეგ.

ერიომ უპასუხა, რომ მას ისიამოვნა ამ ყურადღებამ, რომელიც ესოდენ განირჩევა იმ ზეგავლენისა და თავდასხმებისაგან, რომლებსაც იგი განიცდის „ევროპის არმიის“ მომხრეთა მხრივ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა მიღებულ იქნას ღონისძიებანი, ევროპის ისეთი ორგანიზაციის შესაქმნელად, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდა ევროპის უკლებლივ ყველა ქვეყანა.

ამერიკის მონოპოლიები ძარცვავენ ბრაზილიას

მონტევიდეო, 23 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის მონოპოლიები ბრაზილიაში უდიდეს მოგებას იღებენ და მის ხალხს განუმზადებენ შიმშილსა და სიღატაკეს. ბრაზილიის გაზეთ „იმპრენსა პოპულარის“ ცნობით, ბრაზილიაში მოკალათებული 120 ამერიკული კომპანიის წილად, რომლებმაც გამოაქვეყნეს თავიანთი მოგება, მოდის მთელი იმ მოგების მესამედი, რასაც ბრაზილიაში დანარჩენი 324 ათასი საწარმო იღებს.

მაგრამ, როგორც გაზეთი აღნიშნავს, ეს ბრაზილიაში ამერიკელთა მთავარი მოგება როდია. ამერიკის მონოპოლიები ფართოდ იყენებენ თავიანთ მონოპოლურ მდგომარეობას ბრაზილიის საგარეო ვაჭრობაში საქონლის ფასების დასაწესებლად. იმ ცნობებით, რომლებიც გაზეთს მოჰყავს, თუ 1915 წელს ერთი ტონა წონის მანქანებში, წარმოების იარაღებსა და ინსტრუმენტებში ბრაზილიას 2,3 ტონა თავისი პროდუქტები გაჰქონდა, 1952 წელს ამავე რაოდენობის შემოტანილ საქონელში მას გააქვს 5,8 ტონა თავისი საქონელი. გამოანგარიშებულია, წერს გაზეთი, რომ წარმოებაში მთელი დასაქმებული ბრაზილიის მოსახლეობა ამერიკელებისათვის წელიწადში ერთ თვეს უფასოდ მუშაობს.

ამერიკელი „ჟურნალისტების“ ინტერესი ჩრდილოეთ ნორვეგიისადმი

ოსლო, 25 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ცნობილია, ნორვეგიაში მრავალი ოფიციალური და ნახევრადოფიციალური ამერიკელი „სტუმარი“ და „ტურისტი“ ჩამოდის. ისინი განსაკუთრებულ „ინტერესს“ იჩენენ ნორვეგიის ჩრდილოეთ რაიონებისადმი, რომლებიც ესაზღვრება საბჭოთა კავშირს. ამას წინათ გაზეთები იუწყებოდნენ, რომ შპიცბერგენზე გაემგზავრა ამერიკელ „ტურისტ-მონადირეთა“ ჯგუფი. როგორც გაზეთი „ვერდენს განგი“ წერს, ამ დღეებში ამერიკის ერთმა სატელევიზიო კომპანიამ მოახდინა მთელი რიგი კინოსურათების გადაღება ნორვეგია-საბჭოთა კავშირის საზღვარზე ფინმარკის გუბერნიაში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეცხრე სესია

23 სექტემბრის დღის სხდომაზე

ნიუ-იორკი, 24 სექტემბერი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის მეცხრე სესიის 23 სექტემბრის დღის სხდომაზე კანადის, ჩილისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა გამოსვლებით დაიწყო საერთო დისკუსია.

კანადის წარმომადგენლის პირსონის სიტყვის ძირითადი ნაწილი მიეძღვნა ეგრეთწოდებული „ატომის ენერგიის საერთაშორისო ორგანოს“ შექმნის ამერიკულ გეგმას. პირსონიც ცდილობდა საბჭოთა კავშირისათვის დაეკისრებინა ბრალი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების საკითხის გადაჭრაში მარცხისათვის. მან, კერძოდ, განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის მოთხოვნა — აიკრძალოს ატომური იარაღის გამოყენება — თითქოს მთავარი მიზეზია იმისა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უშედეგოა მრავალი წლის მოლაპარაკება ამ საკითხებზე და რომ არსებობს საერთაშორისო დაძაბულობა. შემდეგ პირსონი თავის სიტყვაში ცდილობდა დაემტკიცებინა, თითქოს ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირს „წმინდა თავდაცვითი ხასიათი“ აქვს, ისევე როგორც სხვა სამხედრო კავშირებს, რომლებიც დასავლეთის სახელმწიფოებმა შექმნეს.

ჩილის წარმომადგენელმა მასამ თავის სიტყვაში განაცხადა, რომ საჭიროა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმტკიცება. შეეხო რა დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების მოწოდებას მშვიდობიანი თანაარსებობისაკენ, მასამ გაიმეორა ამერიკული პროპაგანდის გაცვეთილი მოსაზრებანი და განაცხადა, რომ „კომუნისტური მოწოდება თანაარსებობისაკენ“ მიმართულია ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ, ნიშნავს ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის ჩაფუშვას და ცდას დელეგატებს თვალი დაახუჭვინონ ფორმიზის „ყოველგვარ მოულოდნელობაზე“. მასამ აღნიშნა, რომ საკმაო არ არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობა ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის დახმარების გაწევის დარგში და მოუწოდა გააფართოონ ეს საქმიანობა.

შემდეგ გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დალესი. დალესი აშკარად ცდილობდა დაემტკიცებინა ევროპის თათბირისა და ამ თათბირზე ინდოჩინეთის საკითხში მიღწეული შეთანხმების მნიშვნელობა; მან განაცხადა, კერძოდ, რომ ამ შეთანხმების „საბოლოო შედეგები ჯერ კიდევ ნათელი არ არის“. ამავე დროს დალესი ქებადიდებას ასხამდა მანილის კონფერენციის „მიღწევებს“, რომლებიც, როგორც ცნობილია, ამოიწურა კოლონიური სახელმწიფოების ახალი აგრესიული ბლოკის შექმნით, რომელიც აძლიერებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ომის საფრთხეს.

ილაპარაკა რა ეგრეთწოდებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნის გეგმის ჩაფუშვაზე, რამაც არახელსაყრელი გავლენა მოახდინა ამერიკის სამხედრო გეგმებზე, დალესი ამტკიცებდა, თითქოს ამ მოვლენამ „გაართულა მშვიდობის პრობლემა ევროპაში“. ამასთან სახელმწიფო მდივანს არ დაუმალავს თავისი დიდი გაბრაზება საფრანგეთის პარლამენტის საქციელის გამო, რომელმაც უარყო ეს გეგმა. სახელმწიფო მდივანი ცდილობდა გერმანიისა და ავსტრიის საკითხების მოუწესრიგებლობის მთელი ბრალი საბჭოთა კავშირისათვის დაეკისრებინა. „გერმანიის გაყოფა, რაც საფრთხეს შეიცავს, — განაცხადა მან, — კვლავ არსებობს საბჭოთა კავშირის მხრივ წინააღმდეგობის გამო“, რომელიც თითქოს ისწრაფვის „თავისი ორბიტა რაინამდე გაავრცელოს“.

დალესმა თავის სიტყვაში მთავარი ადგილი დაუთმო ეგრეთწოდებული „ატომის ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს“ შექმნის ამერიკის „ახალი“ გეგმის ჩამოყალიბებას. ამერიკის წინადადებანი ამ დარგში მიმართული იქნება, როგორც დალესმა თქვა, უმთავრესად შემდეგი მიზნების მისაღწევად: 1. შექმნას ატომის ენერგიის საერთაშორისო სააგენტო, რომელიც მუშაობა უნდა დაიწყოს მომავალ წელს. 2. მოწვეულ იქნას 1955 წლის გაზაფხულზე ატომის მეცნიერთა საერთაშორისო კონფერენცია. 3. მომავალი წლის დამდეგს ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიხსნას სკოლა უცხოელი სტუდენტებისათვის, რომლებიც შეისწავლიან ატომის ენერგიისა და მშვიდობიანი მიზნებით მისი გამოყენების ძირითად პრინციპებს. 4. უცხოეთიდან მნიშვნელოვანი რაოდენობით მოწვეულ იქნან მედიკოსი და ქირურგი ექსპერტები ატომის ენერგიის გამოყენების დარგში ამერიკის სამედიცინო ინსტიტუტების ცდების გასაცნობად.

დალესი თავის სიტყვაში ცდილობდა, ცნობილი ფაქტების მიუხედავად, დაერწმუნებინა დამსწრენი, რომ პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ არ არსებობს შეთანხმება ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების შესახებ, თითქოს საბჭოთა კავშირს ეკისრება.

დალესი აგრეთვე ცდილობდა ბრალი იმ ჩიხისათვის, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მოექცა ჩვეულებრივი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების საკითხში, საბჭოთა კავშირისათვის დაეკისრებინა. ამასთან დაკავშირებით მან კვლავ ილაპარაკა იმაზე, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის მიუღებელია სსრ კავშირის წინადადებანი ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ.

დალესმა გაილაშქრა უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრის ერთხმივობის პრინციპის წინააღმდეგ და აზრი გამოთქვა იმის სასარგებლოდ, რომ გენერალური ასამბლეის შემდეგ სესიაზე მოწვეულ იქნას კონფერენცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების გადასასინჯავად.

შეეხო რა ახალი წევრების მიღების საკითხს, დალესმა ისარგებლა შემთხვევით და გაიმეორა ცილისმწამებლური ჭორები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ, რათა ამით გაემართლებინა ის ფაქტი, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას დღემდე თავისი კანონიერი ადგილი არ უკავია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებში.

ნიუ-იორკი, 24 სექტემბერი. (საკდესი). დღეს დილით გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე გრძელდებოდა საერთო კამათი. პირველი გამოვიდა პერუს წარმომადგენელი ბელაუნდე, რომელმაც მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციას ატომის ენერგიის საკითხში.

24 სექტემბრის დღის სხდომა

ნიუ-იორკი, 25 სექტემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 24 სექტემბრის დილის სხდომაზე გამართულ საერთო დისკუსიაში გამოვიდნენ პერუს, კოსტა-რიკისა და ნორვეგიის წარმომადგენლები.

პერუს წარმომადგენელმა ბელაუნდემ თავისი გამოსვლა მიუძღვნა ძირითადად ატომის პრობლემას. მან მხარი დაუჭირა ამერიკის წინადადებას, რომ შეიქმნას ატომის ენერგიის საერთაშორისო ორგანო და, ამავე დროს, გაილაშქრა ატომური იარაღის აკრძალვის წინააღმდეგ.

კოსტა-რიკის დელეგატი ლაპარაკობდა იმაზე, რომ სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიურ მდგომარეობაზე საშინელ გავლენას იზდენს ნედლეულის საერთაშორისო ფასების მერყეობა. მან სურვილი გამოთქვა გამოინახოს ნედლეულის ფასების სტაბილიზაციის გზები. ისევე როგორც პერუს დელეგატმა, კოსტა-რიკის წარმომადგენელმა აზრი გამოთქვა სუსტად განვითარებული ქვეყნებისადმი ტექნიკური დახმარების გაძლიერების სასარგებლოდ.

ნორვეგიის წარმომადგენლმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ლანგემ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ გენერალური ასამბლეა მრავალი წლის განმავლობაში პირველად შეიკრიბა იმ პირობებში, როცა ომი აღარ არსებობს, და სურვილი გამოთქვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თავის მუშაობაში დაადგეს სადავო საერთაშორისო პრობლემების გადაჭრის გზას. წარსულში იყო ისეთი შემთხვევები, განაცხადა ლანგემ, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აპარატი არ გამოუყენებიათ საერთაშორისო პრობლემების გადაჭრისათვის. როგორც მან აღნიშნა, ეს ხდებოდა „არა იმიტომ, რომ მოლაპარაკების სხვა მეთოდები უფრო საიმედო ჩანდა, არამედ იმიტომ რომ ზოგიერთი სახელმწიფო, რომელიც სასიცოცხლოდ დაინტერესებულია განსაზღვრული პრობლემებით, მოკლებული იყო შესაძლებლობას გამოსულიყო „გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. „მე უწინარეს ყოვლისა მხედველობაში მაქვს ის ფაქტი, თქვა ლანგემ, — რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა წარმოდგენილი არ არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებში. საქმის ასეთ მდგომარეობას, ჩემი მთავრობის აზრით, არ შეუძლია არ გამოიწვიოს ჩვენი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა მზარდი შეშფოთება“.

ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა ემხრობა ახალ წევრთა მეტად ფართო მიღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, მიუხედავად მათი პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური სისტემების განსხვავებისა. ლანგემ სურვილი გამოთქვა, რომ გენერალური ასამბლეა დაადგეს ეგრეთწოდებული „ხმათა უმრავლესობით“ გადაწყვეტილებების თავს მოხვევაზე ხელის აღების გზას და თავისი ღონისძიებანი მოახმაროს გულწრფელი და დინჯი მოლაპარაკების გაფართოებას.

ნორვეგიის წარმომადგენელი მიემხრო სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების გაფართოებას, შეიარაღების დაბალანსებულ შემცირებას ეფექტიანი კონტროლით.

შემდეგ გენერალური ასამბლეა შეუდგა გენერალური კომიტეტის მოხსენების დამტკიცებას მომდინარე სესიის დღის წესრიგისა და კომიტეტებში განსახილველად საკითხთა განაწილების შესახებ. სსრ კავშირის დელეგაციამ, ისევე როგორც გენერალური კომიტეტის სხდომაზე, კვლავ წამოაყენა წინადადება გადაიდოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად ალბანეთისა და კამბოჯის მიღების საკითხის განხილვა ინდოჩინეთის პრობლემის სრულ მოწესრიგებამდე. მაგრამ ხმის უმეტესობით გენერალურმა ასამბლეამ ეს საკითხი სესიის დღის წესრიგში შეიტანა.

ჩანკაიშეღთა ავიაციის პროვოკაციული თავდასხმები უეძიანზე

პეკინი, 23 სექტემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იტყობინება: 21 და 22 სექტემბერს ჩანკაიშელთა თვითმფრინავები კვლავ დაესხნენ თავს ფუძიანის პროვინციის სამხრეთ და ცენტრალურ ნაწილებს. 21 სექტემბერს ჩანკაიშელთა ორმა ავიაგამანადგურებელმა ოთხი ბომბი ჩამოაგდო ტენშანის მაზრაში (ფუძიანის სამხრეთ ნაწილი). დაზიანდა მებადურთა ნავი. იმავე დღეს ორმა თვითმფრინავმა დაბომბა და სროლა აუტეხა სავაჭრო გემს კუნძულ დაგუს პირდაპირ. გემს ცეცხლი გაუჩნდა. ეკიპაჟის ერთი წევრი მოკლულია და ხუთი დაიჭრა. ორმა სხვა თვითმფრინავმა ჩამოაგდო 14 ბომბი და ექვსჯერ დაუშინა ცეცხლი დასახლებულ პუნქტ ძისიუს. 14 საათსა და 20 წუთზე ორმა თვითმფრინავმა კიდევ 12 ბომბი ჩამოაგდო ძისიუში და 11-ჯერ დაუშინა მას ცეცხლი.

22 სექტემბერს ჩანკაიშელთა თვითმფრინავების ხუთმა ჯგუფმა დაბომბა და ცეცხლი დაუშინა ტუნშანის მაზრასა და სხვა ადგილებს. კუნძულ ტუნშანის ახლოს თავდასხმის შედეგად დაზიანდა სავაჭრო გემი. სამი კაცი მოკლულია და ერთი დაიჭრა. ამოის სამხრეთ სანაპიროსთან დაზიანეს მებადურთა კიდევ ერთი ნავი.

იმავე დღეს ჩანკაიშელთა ავიაგამანადგურებლებმა დაბომბეს და ცეცხლი დაუშინეს დაბა ხუშის (ფუძიანის პროვინციის ცენტრალური ნაწილი) და სროლა აუტეხეს სავაჭრო გემებს სანაპირო რაიონში. მათ ჩამოაგდეს 20-ზე მეტი ბომბი და 50-ზე მეტჯერ ატეხეს ტყვიამფრქვევის სროლა. შედეგად ჩაიძირა 4 გემი, ხოლო მეხუთე დაზიანდა. ამ გემებზე მოკლულია ორი კაცი, დაიჭრა 3.

იმავე დღეს ჩანკაიშელთა თვითმფრინავები თავს დაესხნენ კუნძულ სიაოდენს. მათ დაბომბეს და ცეცხლი დაუშინეს კუნძულის მოსახლეობას. თვითმფრინავებმა რვა ბომბი ჩამოაგდეს ძიანკოუში, ჰუდიანის აღმოსავლეთით.

ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა სახენიტო ცეცხლით სეროიზული ზარალი მიაყენეს ჩანკაიშელთა ავიაციას.

პოლიციის ჭერქრი დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი, 24 სექტემბერი. (საკდესი). უკანასკნელ ხანს, როგორც ფაქტები ცხადყოფენ, ბონის ხელისუფალნი აძლიერებენ რეპრესიებს მშვიდობისმოყვარე ძალების მიმართ და ცდილობენ ტერორით გააძლელონ მათი ბრძოლა გერმანიის მილიტარიზაციისა და გერმანიის პოლიტიკის წინააღმდეგ. ამასთან დასავლეთგერმანელი რეაქციული წრეები მთავარ დარტყმას მიმართავენ გერმანიის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ, ცდილობენ მეთაურები წაართვან დასავლეთ გერმანიის დემოკრატიულ ძალებს. ადენაუერის მთავრობამ საპყრობილის ჯურღმულებში ჩაყარა კომპარტიის მთელი რიგი ხელმძღვანელი მოღვაწეები — პარტიის გმგეობის წევრები ფ. რიშე, ი. ანგენფორტი, კ. ცემკე, ი. ლედეონი. გაცემულია ბრძანება კომპარტიის ხელმძღვანელის მაქს რაიმანის დაპატიმრების შესახებ. ამ დღეებში, როგორც გერმანული პრესა იუწყება, რემშაიდში დააპატიმრეს კომპარტიის გმგეობის წევრი გ. ჰამპფერი, რომელიც მხოლოდ რამდენიმე თვის წინათ გაათავისუფლეს „წინასწარი“ პატიმრობიდან, რაც 14 თვეს გრძელდებოდა.

დასავლეთ გერმანიის ხელისუფალნი, რომლებმაც უკანონოდ აკრძალეს „ახალგაზრდათა პროგრესული ორგანიზაცია — დასავლეთ გერმანიის თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირი, სასტიკად სდევნიან ამ ორგანიზაციის ერთგულ ჰაბუკებსა და ქალიშვილებს. 22 სექტემბერს ლუნებურგის სასამართლომ ერთი წლისა და ერთი კვირის პატიმრობა მიუსაჯა ახალგაზრდა პატრიოტ არნო ანენს იმისათვის, რომ 1953 წლის ზაფხულში იგი მონაწილეობას იღებდა ახალგაზრდობის ბანაკად დასვენების ორგანიზაციაში. ამას წინათ დიუსელდორფში პოლიცია თავს დაესხა პროგრესული ორგანიზაციის „თვითგამორკვევისა და მშვიდობისათვის მოძრაობის“ ბიუროს შენობას. პოლიციელებმა გაჩხრიკეს შენობა და წაიღეს სამსახურის მასალები.

ბერლინი, 24 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ადენაუერის სააგენტო იუწყება, პოლონეთიდან ჩამოსულ ლ. ბანსი, ა. ბოგუსლავსკი, ა. ბოგუსლავსკაია